სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 20 აგვისტო 2003 №155 (1926) | ფასი 50 თეთრი

ჟორდანიას და ყაველაშვილს ხუთი შვეიცარიული საათი არ ეყოთ



გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული გუნდის მწვრთნელი მერაბ ჟორდანია ნაკრებში მის თანაშემწეს მიხეილ ყაველაშვილს შვეიცარიაში შეხვდა და ხუთ საათს ესაუბრა. თემა, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრები, ევროშესარჩევის დარჩენილი სამი თამაშისთვის მზადება და სხვა ამგვარი საკითხები იყო. ჟორდანია და ყაველაშვილი დღეს შვეიცარია — საფრანგეთის ამხანაგურ მატჩზე დასწრებასა და მსჯელობა-საუბრის გაგრძელებას აპირებენ

ბუნებრივი კითხვა: ქართველებისთვის უკვე ნამეტოქარი შვეიცარიელების ნახვას დღეს მოსკოვში ისრაელთან და ოხრიდში მაკედონიელებთან მოთამაშე ჯერაც ჩვენი მეტოქეების, რუსებისა და ალბანელების ნახვა ხომ არ ჯობდა?!

წლეულს ძაან თბილისობა გვქონია, აი!



ღვინო, დუდუკი, ჰარლემი

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია: წლეულს თბილისობა დღეს, 26 ოქტომბერს თბილისში უძველესი საკალათბურთო დასი „ჰარლემ გლობტროტერზი“ შემოგვივლის. ეს „ჰარლემი“ საკალათბურთო ცირკი კი გახლავთ და მთავარ მიზნად სპორტული გამარჯვებები კი არა, ბურთით ჟონგლიორობა დაუწერია, მაგრამ იქ თვით მამა ნბა-ს მჟღერი სახელები სედრიკ სებალოსი და ოლდენ პოლინაისი თამაშობენ, ჰოდა, ყურადღების ღირსი თუნდაც ამიტომაა. მოკლედ, ღვინობისთვის ყველაზე ღვინიან დღეს ეს შავ-შავი ბიჭები გაგვიხალისებენ. ასე რომ,

ჯერ მწვადი, მერე კალათბურთი

ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინდელი მატჩი ტრავმის გამო მხოლოდ დიმიტრი ვერეშჩუკმა (მარცხნივ) გამოტოვა, „ზაასენს“ კი ერთადერთი გოლი მამუკა რუსიამ გაუტანა

1:0 ამერმა ანგარიში გერმანიაში გახსნა

გიორგი დარჯანია ზაასენიდან

ახალშექმნილმა თბილისის „ამერმა“, რომელიც პირველ ლიგაში სამონაწილეოდ გერმანიაში ემზადება, სამოყვარულო გუნდების ტურნირი წარმატებით დაიწყო.

„ამერმა“ „ზაასენს“ მამუკა რუსიას ერთადერთი გოლით მოუგო, რომელიც 31-ე წუთზე გია კილასონიას საჯარიმოდან დარტყმულს მოჰყვა: მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და რუსიამ დასწრებაზე იმარჯვა.

თბილისელთა პირველი მეტოქე გისენის კრაისლიგის „ზაასენი“ იყო. გერმანული კრაისლიგა ობერლიგაზე დაბალი დივიზიონია, მაგრამ გუშინდელი მეტოქის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენს რეგიონალლიგას არ ჩამოუვარდება.

მოგეხსენებათ, „ამერი“ ახალშექმნილი გუნდია და ეს მატჩი მის ისტორიაში პირველი, თანაც საერთაშორისო გახლდათ და მის შედეგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ამასთან, „ამერის“ თორმეტი ფეხბურთელი ჯერ მხოლოდ თხუთმეტი წლისაა და მათგან ხუთი სასტარტო შემადგენლობაში თამაშობდა.

ჯერაც შეუთამაშებელ გუნდს თავიდან ცოტა გაუჭირდა, მაგრამ საწყისი 20 წუთის მერე თამაში დალაგდა და რუსიას გოლიდან მოყოლებული, მატჩის ბოლომდე სრულ უპირატესობას „ამერი“ ფლობდა.

შესვენებაზე „ამერის“ მთავარმა მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი შეცვალა და საბოლოოდ მოედანზე ოდენ ორი გამოცდილი მოთამაშე, ჩიხრაძე და დავითნიძე დარჩა, მაგრამ ჭაბუკებმა არანაკლებ კარგად ითამაშეს, შეიძლება ითქვას, უკეთაც, რადგან ყოფილ მარდელებს უკვე ორი წელია, შეთამაშების პრობლემა არ აქვთ.

„ამერმა“ ამ შემადგენლობით ითამაშა: ასლანაძე *(ჩაფიძე 81)*, დავითნიძე, ჩიხრაძე, ელბაქიძე, ღუდუშური *(მჭედლიშვილი 46)*, განუგრავა *(დარსაძე 73)*, ბაკალავა *(ბერიანიძე 46)*, ნიკოლაიშვილი *(გვაძაია 46)*, გ. კილასონია *(კუსრაშვილი 46)*, რუსია *(ჩიმაკაძე 57)*, გოცირიძე *(წინამძღვრიშვილი 46)*.

მომდევნო მატჩს „ამერი“ დღეს, „კასელბახთან“ გამართავს. ცნობას ამ მატჩის თაობაზე, ხვალინდელ „სარბიელში“ იხილავთ.

გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
V ტურის მატჩი

ოფენბახი 0:2 ერფურტი

უკრაინა

სუპერლიგა XX ტური

ფორკარდი 2:0 სილვია

ინგლისი

ლიგის თასი I ეტაპი

სტოკი 2:1 როჩდეილი

საფრანგეთი

II დივიზიონი IV ტური

ამიენი 0:0 ისტრი
ბეზანსონი 1:1 გენიონი
კაენი 0:0 გრენობლი
კლერმონი 0:1 ნიორი
კრეტეი 1:0 სენტ ეტიენი
ლორიანი 2:0 ნანსი
რუანი 3:1 ანჟერი
სედანი 2:0 შატორუ
ვალანსი 1:2 ლე ავრი
ტრუა 0:0 ლავალი

ევროპისახალგაზრდული ჩემპიონატი
შესარჩევი ეტაპები

IX ჯგუფი

სერბეთი 3:0 უელსი

ამხანაგური მატჩები

ლუქსემბურგი 1:1 მალტა
ირლანდია 2:1 ავსტრალია

ახალგაზრდულები

რუსეთი 2:1 გერმანია
სლოვენია 2:2 უნგრეთი
თურქეთი 1:0 მოლდოვა
სლოვაკეთი 5:1 ბოსნია
პოლონეთი 1:5 ირლანდია
პორტუგალია 1:0 ბელარუსი
ნორვეგია 3:1 შოტლანდია
ინგლისი 0:3 ხორვატია
ავსტრია 0:1 იტალია

მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი (ფინეთი)

A ჯგუფი III ტური

ჩინეთი 3:3 მექსიკა
კოლუმბია 9:1 ფინეთი

B ჯგუფი III ტური

ნიგერია 0:1 არგენტინა
ავსტრალია 0:2 კოსტა რიკა

შეტევა, შეტევა?





ჟორდანიამ და ყაველაშვილმა ბევრი ილაპარაკეს

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ეროვნული გუნდის მწვრთნელი მერაბ ჟორდანია ნაკრებში მის თანაშემწეს მიხეილ ყაველაშვილს შვეიცარიაში შეხვდა და ხუთ საათს ესაუბრა. თემა, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრები, ევროშესარჩევის დარჩენილი სამი თამაშისთვის მზადება და სხვა ამგვარი საკითხები იყო.

ჟორდანია და ყაველაშვილი დღეს შვეიცარია — საფრანგეთის ამხანაგურ მატჩზე დასწრებასა და მსჯელობა-საუბრის გაგრძელებას აპირებენ. გუშინდელ შეხვედრაზე კი მიხეილ ყაველაშვილმა ეს გვითხრა:

— კონკრეტული არაფერი, ზოგადად, ნაკრების მომავალზე, პერსპექტივაზე ვისაუბრეთ. ერთი გადავწყვიტეთ, ალბანეთთან 6 სექტემბრის მატჩისთვის მზადებას საქართველოს ნაკრები 1 სექტემბერს დაიწყებს. სად ვივარჯიშებთ, ამას კიდევ მოვფიქრებთ.

— შემადგენლობაზე რა თქვით? ნაკრებში ახალ ფეხბურთელებს უნდა ველოდოთ?

— არა, იმ ფეხბურთელებს მოვიწვევთ, რომლებიც აქამდეც შეადგენდნენ ნაკრების ბირთვს, ვინც ბოლო მატჩებში ითამაშა.

— ესე იგი, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება...

— მნიშვნელოვანი არაფერი, თუმც რაღაც-რაღაცეები კი შეიცვლება.

— კონკრეტულად?

— ჯერ ვერ გეტყვით. საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი დარჩა, რისი გამოყენებისთვისაც ვიბრძოლებთ. საამისოდ საჭიროა მოგება, მოსაგებად კი ძლიერი თავდასხმა. სწორედ თავდასხმის გაძლიერებას, შემტევი ფეხბურთის თამაშს ვაპირებთ.

— კიდევ რას აპირებთ?

— ცოტა ხანში გეტყვით, მერაბ ჟორდანიას ამ დღეებში კიდევ უნდა შევხვდე, სადღეისოდ კი მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

კოტა ინასარიძე

ჩამოვა პსვ და...

გახოკიძე ბუცებს ილესავს



ჰოლანდიაში ქართველი ერთიღაა — „ტვენტეს“ ნახევარმცველი გოგა გახოკიძე, რომელიც ამ კლუბს სეზონის დაწყებამდე შეუერთდა და ქვეყნის ახალდაწყებული ჩემპიონატის პირველ ტურში გუნდის გამარჯვებაში თავისი წილი დაიდო.

კვირას „ტვენტემ“ „როზენდალს“ 3:1 მოუგო, სამიდან ორი გოლი „ტვენტემ“ სწორედ ჩვენიანის გარჯის წყალობით გაიტანა — ისეთი პასები გააკეთა, ორი პარტნიორი მეკარესთან პირისპირ დატოვა და მათაც საქმის მოთავება არ გასჭირვებიათ. სხვათა შორის, „ტვენტესთან“ ერთად გახოკიძის გადაბირების სურვილი სწორედ „როზენდალს“ ჰქონდა და გოგამ ამჟამინდელი კლუბი ბოლო მომენტში ირჩია

— პირველ ტაიმში 0:1 ვაგებდით, ცუდად ვთამაშობდით, პირველი მატჩი, პირველი წუთები, თამაში ვერ ავაწყეთ — გვითხრა გოგა გახოკიძემ წუხელ, როცა ენსხედეში დავუკავშირდით — შესვენების შემდეგ კი ჩვენმა ქომაგმა სულ სხვა გუნდი ნახა. ცალკარა თამაში იყო, სამი ხომ გავიტანეთ და ორი ამდენი ნაღდი საგოლე მომენტიც გვქონდა.

— „ტვენტეში“ ერთ-ერთი გამორჩეული ყოფილხარ...

— პსვ-დან ჩემთან ერთად წამოსულმა რამზიმაც კარგად ითამაშა. მატჩის მერე ქება არ დამკლებია, კარგი პრესაც მქონდა. მოკლედ, „ტვენტეში“ კარგი დებიუტი გამომივიდა და იმედი მაქვს, ასევე გაგრძელდება. „როზენდალთან“ ორი გოლი გავაკეთე, თანაგუნდელები მეკარესთან პირისპირ დავტოვე და დანარჩენი უკვე მათი საქმე იყო.

— რატომ შეგცვალეს?

— როცა მე და რამზი შეგვცვალეს, წუთში მატჩიც დამთავრდა. ჩვენ ხომ „ტვენტეს“ ახალწვეულები ვართ და მწვრთნელმაც ქომაგზე ითამაშა, სტადიონს ჩვენთვის ტაში დააკვრევინა. თამაში უკვე გაკეთებული იყო.

— რატომღა გაგაფრთხილეს?

— ძალიან უხეში თამაში გამოვიდა. მეორე ტაიმში მსაჯმა სამჯერ სტუმრები და ხუთჯერ ჩვენ გაგვაფრთხილდა.

— სათამაშო პოზიცია ხომ არ შეგიცვლია?

— არა, ისევ მარცხენა ნახევარმცველად ვთამაშობ.

— მოკლედ, „ტვენტეში“ თავს კარგად გრძნობ...

— კი, ძალიან კმაყოფილი ვარ. საკმაოდ მეგობრული, შეკრული გუნდია. უკვე დავუძმაკაცდი „ტვენტეს“ კაპიტანს, სერბ სპირა ლუკიჩს, რომელიც აქ ოთხი წელი თამაშობს და ავტორიტეტით სარგებლობს. მთავარი კი მაინც ისაა, რომ თამაშის პრობლემა აღარ მექნება.

— რას გულისხმობ?

— პსვ-ში მეტწილად სათადარიგო ვიყავი, კოშმარული წლები გამოვიარე, თამაში მენატრებოდა. აქ კი ყველაფერი კარგად აეწყო. ამ ეტაპზე ჩემთვის ფინანსური მხარე მეორეხარისხოვანია, უფრო მნიშვნელოვანი სათამაშო პრაქტიკაა. სეზონის ბოლომდე „ტვენტეში“ დავრჩები და მერე უკეთეს გუნდზე, პირობებზე ვიფიქრებ. იმას ავინაზღაურებ, რაც პსვ-ში დავკარგე.

— კიდევ სასტუმროში ცხოვრობ?

— არა. კლუბმა სახლი მიქირავა და ოჯახთან ერთად გადავედი. მწვრთნელის მეზობლად ვცხოვრობ.

— დიდი სხვაობაა „ტვენტეს“ და პსვ-ს შორის?

— პსვ ჰოლანდიაში კი არა, ევროპაშიც ერთ-ერთი გამორჩეული კლუბია, „ტვენტე“, რა თქმა უნდა, უფრო მოკრძალებული მიზნებისა და ამბიციების გუნდია, თუმც არავისთვისაა ხელწამოსაკრავი. „ტვენტე“ ამ სეზონის წინ მნიშვნელოვნად გაძლიერდა. მესამე ტურში კი სწორედ პსვ-ს ვმასპინძლობთ და ჩვენი ძალის დამტკიცებას ვეცდებით, უკვე ამ თამაშზე ვფიქრობთ.

— შენ და რამზის პსვ-სთან, ალბათ, ცალკე ანგარიშები გაქვთ.

— რა თქმა უნდა. მთლიანად გუნდიც ძალიან მოწადინებულია პსვ-სთან საბრძოლველად. ვნახოთ, რა გამოგვივა.

კოტა ინასარიძე

არმაზთან თბილისს არ მაზავენ

რას ნიშნავს შვიდი შვიდიანი?

სამ დღეზე გადაჭიმული მეოთხე ტური ევროპამოვლილი ორი გუნდის გამარჯვებით დასრულდა. „ტორპედომ“ და „სიონმა“ სხვებზე გვიან იმიტომ ითამაშეს, რომ ლანსში და პუხოვში ბრძოლითა და მგზავრობით დაიქანცნენ. ნამეტანი დაღლილან ნაევროპალნი, მეტოქეებს ოდენ თითო გოლით სძლიეს.

მსაჯებს ნახევარი „დინამო“ „ეპუკეპუკა“, ყვითელ ბარათს კი მარტო კარლოსი გამორჩა





მსაჯებს დამდურებული ივო შუშაკი და დაგვიანებული შემსრულებელი ზურაბ ბერიძე

წინა ტურში „დინამოს“ წამქცევი „კოლხეთი“ ქუთაისს იმედიანად ესტუმრა. ფოთელებს გიორგი ყოფიანი დაუხვდათ, რომელმაც ზღვისპირელთა დაცვა პას-პას დასერა. ყოფილმა ვეტერინარმა შესუსტებული „ტორპედოს“ შეტევების ორგანიზაცია ითავა და ეს საქმე კარგად გამოუვიდა. სულ სხვაა, რომ მასპინძლებმა ერთზე მეტი გოლის გატანა ვერ შეძლეს. ხვადაგიანის ზუსტად შესრულებული თერთმეტმეტრიანი იკმარეს და შვიდქულიანებში გაერივნენ. ქუთაისელებმა მოიგეს, მაგრამ ქომაგებს ამით ვერ მოთაფლავენ. „ტორპედოს“ გულშემატკივრებს არ სჯერათ, რომ ასეთი თამაშით მაღლა ფრენა შესაძლებელია.

„სპარტაკი“ წინა სეზონის ზესტაფონის „მეტალურგს“ დაემსგავსა, რომელმაც გაზაფხულის დაწყებიდან უგოლოდ იარა. უცნაურია, მაგრამ სპარტაკელთა ერთადერთი ქულა ქუთაისში „ტორპედოსთანაა“ მოპოვებული. ოთხიდან მხოლოდ ერთ შეხვედრაში არ გაუშვეს გოლი, სამში კი ერთბაშად ათი მოაგროვეს. გუნდის თამაში ერთგვარ ციებ-ცხელებას ჰგავს.

ამჯერად პირველი ლიგის ახალწვეულმა ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლა. სლოვაკეთში მარცხნაწვნევმა ბოლნისელებმა პენალტით მოიგეს. მთავარი კი ისაა, რომ გონჩაროვის ზუსტმა დარტყმამ „სიონი“ ცხრილში პირველ ქანდარაზე წამოასკუპა. ეს ისტორიული ამბავია, რადგან მსგავსი რამ აქამდე არასოდეს მომხდარა. ჩემპიონატი ახალგახურებული კია, მაგრამ „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიასა“ და „ლოკომოტივის“ აწეწილობით თუ ისარგებლებენ, ქვემოქართლელებს სამეულში ტრიალი არ უნდა გაუჭირდეთ. კიდევ, ალბათ სლოვაკებიც ჩაჰხედავენ ქართულ ცხრილს. წარბები შეიძლება არ მოზიდონ, მაგრამ „სიონის“ პირველობა პუხოველებს თავის მოსაფხანად ხელს წააღებინებს.

ზედიზედ მეორე თამაში ვერ მოიგო „დინამომ“. ვითომ „ტირანასგან“ მიყენებული ჭრილობის შეუხორცებლობის ბრალია? შეიძლება ასეც იყოს. ფაქტია, რომ ჩემპიონი ნერვიულობს. ახალაიას გატანილი და არჩათვლილი გოლის გამო ინსპექტორზეც კი გაიწიეს. ზურაბ ბერიძის მიზანი „დინამოსთან“ არწაგება ყოფილა და მწვრთნელმა ამოცანა ამოხსნა. ვიტელები გიორგი დეკანოსიძემ შეავსო, რაც გუნდის სუნთქვასაც დაეტყო. მელქაძემ პირველად ითამაშა ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ და თითქოს ფეხი უკანკალებდა. მერლანს ორჯერ ვერ გაუტანა. ივო შუშაკმა ადათი დაარღვია — მატჩის შემდეგ მსაჯებს ხელი დაუმალა, ანუ არ ჩამოართვა. არჩათვლილი გოლის გამო? ხელჩამოურთმევლობა, ნერვიულობა, მიჯრით ვერმოგებული ორი მატჩი და ერთი გოლი 180 წუთში. აი, ნატირანალი ჩვენი ჩემპიონი. გუნდის სამზარეულოში ყველაფერი წესრიგში არ უნდა იყოს, აშკარად დალაგება სჭირდება. „ვიტ-ჯორჯიას“ კი გორული მარცხიდან სასარგებლო დასკვნები გამოუტანია.



ალექსანდრე ფალავანდიშვილი ბურთს

ვლადიმერ პანოვის „მცხეთამ“ ბევრი ააალაბარაკა

პირველ ტურში დაფერფლილი „მცხეთა“ აღსდგა. ორი დედაქალაქელი უკვე მოაშთო. „ლოკომოტივის“ გზას „თბილისიც“ გაუყენა. თბილისელთა მწვრთნელ თემურ ლორთქიფანიძეს ჯერ ვერ უპოვია ის ნაპერწკალი, თავის ყმაწვილკაცებს რომ ააფეთქებს. ისევ გამოცდილი სულიკო დავითაშვილის ხარჯზე გადიან ფონს. მცხეთაში თვალსაჩინო თამაში ყოფილა. აშკარაა, რომ ვლადიმერ პანოვის ბიჭებს 0:7 მტკვრისთვის გაუტანიათ და ახლა იქეთ აწიოკებენ მეტოქეებს. ლაშა ჩხაიძემ დუბლი მიითვალა, ისევე როგორც შეცვლაზე შესულმა დავითაშვილმა, მაგრამ ჩხაიძის სეხნია ქებაძის გოლი სტუმრებმა ველარ გადაწონეს. ამის მიზეზი ნამატჩევს ნაწილობრივ გაირკვა — თბილისელთა რამდენიმე ფეხბურთელი თამაშამდე მოწამლულა და თავს შეუძლოდ გრძნობდა.

აჭარა აღორძინდა და აყვავდაო. მაშ, „ბათუმი“? ფეხბურთის გუნდმა რაღა დაამავა. აჭარა თუ შენდება და მშვენდება, იცოცხლე, კარგია, მაგრამ ფიცი მწამს, ჩემპიონატის ცხრილი მაკვირვებს — ოთხიდან ოთხი მარცხი. გაჭირვებულს აღმართში გეგეშიძე დაეწია, რომელმაც მატჩის დასაწყისშივე საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და „ბათუმის“ მორიგი წაგების ლენტი გაჭრა. პირველ ტაიმში საინტერესო აღარაფერი მომხდარა. თუმც შესვენების შემდეგ უმალვე „წამოწვიმა“. ორ წუთში მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს. ზღვისპირელები კაკალაძის თავურმა დაიმედა, სირაძის მესამე გოლმა კი მოსპო.

რეზო არველაძის „ლოკომოტივმა“ ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. ახალწვეულები გუნდს ნელ-ნელა ეგუებიან და მომავალ ტურში თბილისურ დერბიში, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ეროვნულის ყოფილ თავკაცს შეეჯახება.

გორში სტადიონზე ათასზე მეტი ქომაგი შეიყარა. აინტერესებდათ, როგორ დაფრინავს „მერცხალი“. „დილას“ ფეხბურთელები გაბარიტებით აშკარად სჯობდნენ მეტოქეს. შედარებით კუსპარა ოზურგეთელებმა მეორე ტაიმში გვარიანად იძრომიალეს მასპინძელთა დაცვაში, მაგრამ მხოლოდ ერთი გოლი გამოჭედეს, ისიც ბოლო წუთზე, როცა უკვე ორბურთიანი სხვაობით აგებდნენ. სერგო გაბელაიას მთავარი პრობლემა ეულფორვარდობაა. „მერცხალი“ მხოლოდ ხუჭუას იმედზეა და ისიც გორში გააძევეს. გაბელაიას მომავალი უქმეებისთვის ხუჭუას შემცვლელის მოძებნა მოუწევს. „დილას“ ზეექვსეული ამოუჭრია გულში და მერგამგებლის დახმარებით, ზვიად ხორგუაშვილის მონდომებითა და ქომაგთა მხარდაჭერით, ამ მიზნის მისაღწევად იბრძვის.

გაგა ხუციშვილი

სიმბოლური ნაკრები



		სულ							შინ							სტუმრად								
№	გუნდები	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1	სიონი	4	2	2	0	7:3	4	8	1	1	0	0	4:1	3	3	3	1	2	0	3:2	1	5
2	დინამო	4	2	1	1	10:2	8	7	3	2	1	0	9:0	9	7	1	0	0	1	1:2	-1	0
3	ვიტ ჯორჯია	4	2	1	1	10:4	6	7	2	2	0	0	10:1	9	6	2	0	1	1	0:3	-3	1
4	ლოკომოტივი	4	2	1	1	7:5	2	7	2	1	1	0	3:2	1	4	2	1	0	1	4:3	1	3
5	დილა	4	2	1	1	6:3	3	7	2	2	0	0	5:1	4	6	2	0	1	1	1:2	-1	1
6	კოლხეთი	4	2	1	1	3:2	1	7	2	1	1	0	2:1	1	4	2	1	0	1	1:1	0	3
7	ბორჯომი	4	2	1	1	3:3	0	7	3	2	1	0	3:0	3	7	1	0	0	1	0:3	-3	0
8	მცხეთა	4	2	1	1	6:11	-5	7	2	2	0	0	5:3	2	6	2	0	1	1	1:8	-7	1
9	თბილისი	4	1	1	2	7:6	1	4	1	0	1	0	1:1	0	1	3	1	0	3	6:5	1	3
10	მერცხალი	4	1	1	2	5:8	-3	4	2	1	1	0	3:2	1	4	2	0	0	2	2:6	-4	0
11	სპარტაკი	4	0	1	3	0:10	-10	1	2	0	0	2	0:4	-4	0	2	0	1	1	0:6	-6	1
12	ბათუმი	4	0	0	4	2:9	-7	0	2	0	0	2	1:4	-3	0	2	0	0	2	1:5	-4	0

ბომბარდირები

5 - ახალაია	*დინამო*
3 - გოცირიძე	*ვიტ ჯორჯია*
დავითაშვილი	*თბილისი*

სტატისტიკა

ჯარ.	კუთხ.	კარისკენ	კარში	თამაშ.
69	12	19	26	14
52	38	54	38	12
49	19	29	33	17
66	13	17	15	6
60	22	22	18	8
72	12	19	17	14
49	25	25	29	12
63	10	16	15	13
93	20	18	19	18
90	14	14	12	12
81	16	15	7	11
59	12	14	9	10



ლაშა ჩხაიძემ „თბილისის“ მეკარე რევაზ ნაჭყებიას ორჯერ გაუტანა

ჟირვალამდე გაწელილ მცხეთას ზეექვსეული დაუსახეს

მცხეთელი გურული სენსაციებს გვპირდება

უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „მცხეთა“ იმ გუნდთა შვიდეულშია, ლიდერ „სიონს“ ქულით რომ ჩამორჩებიან. არადა, პირველ ტურში „მცხეთამ“ გასვლაზე „ვიტ ჯორჯიასთან“ 0:7 წააგო...

ახლა კი „მცხეთა“ ყველამ ყბად იღო. მცხეთელებმა შინ ამბიციურ გუნდებს, „ლოკომოტივს“ და „თბილისს“ მოუგეს.

ბოლო ტურში „მცხეთამ“ „თბილისი“ დაამარცხა 3:2 და ორი ბურთი მასპინძელთაგან ლაშა ჩხაიძემ გაიტანა. ეს 23 წლის ფეხბურთელი ტექნიკური, რბილი ყაიდის გამთამაშებელი გახლავთ, რომელსაც ოჯახური ტრადიციაც უმაგრებს ზურგს — მამამისი თემურ ჩხაიძე თავის დროზე ლანჩხუთის „გურიაში“ საკმაოდ წარმატებით გამოდიოდა.

— ლაშა, „მცხეთა“ პირველი ტურის შემდეგ ასე კარგად რომ ათამაშდა, ეს თქვენთვის, ფეხბურთელებისთვისაც მოულოდნელი იყო?

— მოულოდნელი კი იყო, მაგრამ არც ისე. პირველი ტურის შემდეგ მყისვე ჩამოგვწერეს, ყველას უკვე უმაღლესი ლიგიდან გაგდებული ვეგონეთ, მაგრამ ახლა ალბათ უფრო ფეხბურთელების დამსახურებაა, ფსიქოლოგიურად კარგად რომ მოვემზადეთ თამაშებისთვის.

— პირველ ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ მაინც რა მოხდა ისეთი, რომ 0:7 წააგეთ? ტაიმნახევარი გოლი არ გაგიშვიათ, მერე კი...

— იმ მატჩში მე განაცხადშიც არ ვყოფილვარ და სტადიონი მაშინ დავტოვე, როცა 0:3 ვაგებდით და როცა გავიგე, რომ 0:7 წავაგეთ, კინაღამ გავგიჟდი. თანაც პირველ ტაიმში სახიფათო მომენტები ჩვენ უფრო შევქმენით. შეკრებაზე „მცხეთას“ ხელი შეეშალა, რადგან ლაგოდეხში ყოფნისას ცუდი ამინდები იყო და ალბათ ამიტომ ვერ გაძლო მთელი 90 წუთი. მე „მცხეთას“ შეკრებაზე არ გავყოლივარ, ჩემს ყოფილ გუნდ „ლოკომოტივში“ ვვარჯიშობდი.

— ოთხი წლის წინ მიხეილ მესხის სახელობის ტურნირზე მინიფეხბურთში ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იყავი. თუმც მერე მინიფეხბურთში აღარ ჩანდი — მინიფეხბურთში კარიერაზე უარი თქვი?

— მინიფეხბურთზე სერიოზულად არასდროს მიფიქრია, სულ დიდი ფეხბურთის თამაში მინდოდა, მაგრამ ტრავმებმა შემიშალა ხელი. რევაზ ძოძუაშვილის გაწვრთნილი „ლოკომოტივის“ ძირითადში რამდენჯერმე მომიწია თამაშმა, მაგრამ მერე საზარდული ამტკივდა და რვა თვე იძულებით დავისვენე. შემდეგ „გურიაში“ დავბრუნდი, მერე იყო „მერანი“, მაგრამ ფორმაში შესასვლელად დრო მჭირდებოდა.

— სეზონის წინ „ლოკომოტივში“ ვარჯიშობდი...

— მითხრეს, მოდიო და მეც მივედი სავარჯიშოდ. მაგრამ ამის გამო „მცხეთის“ ხელმძღვანელობამ დამაჯარიმა — ორი თვის ხელფასი არ მომცეს. ახლა ყველაფერი ნორმალურადაა.

— პირობები როგორია „მცხეთაში“?

— მაღალი დონის არაა, მაგრამ ნორმალურია. ადრე „ოლიმპიკზე“ ვვარჯიშობდით, ახლა ჟინვალში დავდივართ, მცხეთის სტადიონზე კი თამაშის წინა დღეს ვვარჯიშობთ. პირადად მე ორჯერადი ვარჯიში მჭირდება, ფიზიკურად კარგად უნდა მოვემზადო და დილაობით მარტო ვვარჯიშობ ხოლმე. დღეში ორჯერადი ვარჯიში ასე გამომდის.

— „მცხეთის“ მთავარი მიზანი ამ სეზონში უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა?

— „თბილისთან“ თამაშის წინ კლუბის პრეზიდენტმა ვლადიმერ გუცაევმა გვითხრა, ზეექვსეულისთვის უნდა ვიბრძოლოთ, ეს შეგვიძლია და თუ ასე გავაგრძელებთ, ამას მოვახერხებთ კიდეცო.

— როგორ ფიქრობ, მაინც რის ხარჯზე მოუგეთ „ლოკომოტივს“ და „თბილისს“?

— „ლოკომოტივს“ პირველ რიგში მონდომების ხარჯზე მოვუგეთ. მეც ძალიან მონდომებული ვიყავი, თითქოს ორივე გუნდისთვის, „ლოკომოტივისთვის“ და „მცხეთისთვის“ მსურდა დამემტკიცებინა ჩემი ძალა. თანაც იმის დამტკიცებაც გვინდოდა, რომ ფეხბურთს მხოლოდ სახელები და გვარები არ თამაშობენ — ჩვენ ხომ თითქმის იგივე გუნდი ვართ, რაც პირველ ლიგაში ვიყავით. აი, „თბილისთან“ კი უკვე ცალსახად მოსაგებად გავედით მოედანზე.

— „მცხეთის“ საშინაო მატჩებზე ახლა უფრო მეტი მაყურებელი დადის?

— ხალხი ადრეც დადიოდა, მაგრამ ახლა უფრო მეტია. მხოლოდ ფეხბურთელების ახლობლები კი არა, მცხეთელებიც მრავლად დადიან სტადიონზე. მოკლედ, უფრო მეტი გულშემატკივარი გამოგვიჩნდა.

— „მცხეთას“ ალმაცერად აღარავინ უყურებს — ეს საქმეს ხომ არ გაგირთულებთ?

— ახლა ყველა უფრო ღირსეულ მეტოქედ გვთვლის, მაგრამ ჩვენ კიდევ მეტი უნდა შევძლოთ. საკუთარი შესაძლებელია, რომ წამყვან გუნდებთან კვლავაც მოვახდინოთ სენსაციები.

დავით თავართქილაძე

შოთამ სეზონი რეზერვისტულ გოლებით დაიწყო



შოთა არველაძემ ტრავმა მოიშუშა და ფორმას იბრუნებს — გუშინ მან „რეინჯერსის“ რეზერვისტთა გუნდში ითამაშა „აბერდინის“ წინააღმდეგ. მატჩი „ჩაფრებმა“ 4:0 მოიგეს და არველაძემ ორი გოლი გაიტანა.

როგორც შოთამ გვითხრა, მტკივანი ფეხი უკვე მოირჩინა, თუმც სათამაშო პრაქტიკის მხრივ ჯერაც ასაკრეფი აქვს. „რეინჯერსის“ მენეჯერ ალექს მაკლიშს არველაძე გაუმხნევებია და უთქვამს, მომდევნო ტურისთვის სათანადოდ მოემზადე, რათა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის გასვლით თამაშში „კოპენჰაგენთან“ სრულ მზადყოფნაში იყო.

დღეს კი „რეინჯერსს“ დასვენების დღე აქვს — გუნდი არ ვარჯიშობს. თუმც არველაძე, „რეინჯერსის“ პორტუგალიელი ახალშენაძენი ნუნუ კაპუშუ და „პარმადან“ გადასული პაოლო ვანოლი მაინც ივარჯიშებენ — ისინი რეზერვისტთა მატჩშიც ერთად იყვნენ.

დავით თავართქილაძე

რუბინმა ჯელაძე მოარჩინა და გაუშვა



რუსული პრემიერლიგის დებიუტანტმა და მოულოდნელობამ, ჩემპიონატში მესამე ადგილზე მყოფმა ყაზანის „რუბინმა“ 28 წლის ქართველ ნახევარმცველს გიზო ჯელაძეს კონტრაქტი გაუუქმა და გუნდიდან გაათავისუფლა. როგორც ჩვენი რუსი კოლეგები ამბობენ, ჯელაძე, სარატოვის „სოკოლს“ დაუბრუნდება, სადაც მან „რუბინამდე“ სამი სეზონი ითამაშა.

გიზო ჯელაძე, რომელიც თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, ყაზანში ორი წლის წინ დავით ჩალაძესა და ლევან სილაგაძესთან ერთად გადავიდა. შარშან, პირველ ლიგაში ჯელაძე ხშირად თამაშობდა „რუბინის“ ძირითადში, მაგრამ წლეულს ის მატჩის განაცხადშიც ვერ ხვდებოდა. პრემიერლიგისთვის ყაზანელებმა გუნდი საფუძვლიანად გააძლიერეს, რამდენიმე უცხოელი მიიწვიეს და გიზოს ადგილი აღარ დარჩა. პრემიერლიგაში ჯელაძეს არც უთამაშია. ისიცაა, დაშავებული იყო და ორი თვე ამის გამოც გაუცდა.

„რუბინის“ დანარჩენი ორი ქართველი, ჩალაძე და სილაგაძე კი მწვრთნელ ყურბან ბერდიევის მოწონებას იმსახურებს და შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა არ აქვთ. ბოლო ტურში ორივემ ძირითადში ითამაშა, ჩალაძის გოლმა კი „რუბინს“ მოაგებინა. სწორედ ამ სამი ქულით მოხვდნენ ყაზანელები მესამე ადგილზე.

ლუკა თალაკვაძე

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49

კოლოსკოვმა სიტყვა დაგაზა

რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოლოსკოვი რუსეთს წინ და უკან სერავს. იგი ქვეყანაში საფეხბურთო მეურნეობის მდგომარეობას მოიხილავს. ახლახან პრეზიდენტი მორდვეთის დედაქალაქ სარანსკს ეწვია



საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ვალერი გაზაევს ვიაჩესლავ კოლოსკოვი მალე ხელს დაუქნევს

ჟურნალისტებს განსაკუთრებით კოლოსკოვისა და გაზაევის ურთიერთობა აინტერესებდათ და დაწვრილებით გამოჰკითხეს — ორ საქმეს რომ შესჭიდებია, ვაითუ ერთიც არ გამოუვიდესო. მაგალითად ცსკა-ს ბოლოდროინდელი შედეგები აუფრიალეს. აგვისტოს ოთხი მატჩიდან ერთი მოიგეს, ერთი სამადლო ფრე ითამაშეს, ორჯერ კი დამარცხდნენო.

რუსულ ფეხბურთის თავი პასუხებს გაურბოდა, მაგრამ მერე გუდას პირი მოხსნა და უცბად დაახურდავა გაზაევი.

„მწვრთნელს მუდმივი პრაქტიკა სჭირდება. მე არ ვარ ორი პოსტის შეთავსების წინააღმდეგი, თუმცა სხვა კუთხით თუ შევხედავთ, განვლილ პერიოდში იგი საკუთარ შეცდომებში ჩაეფლო. ცსკა ძალისმიერ და პრაგმატულ ფეხბურთს ქადაგებს, რომელსაც ადრეულ გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე ატალახებულ მოედნებზე შედეგი მოაქვს. ზაფხულში მინდვრები გაშრა, ტექნიკური გუნდების უპირატესობა გამოჩნდა და ცსკა აირია. სულ სხვა ვითარებაა ნაკრებში. ტირანაში და თბილისში დამარცხებული გუნდი აღარაფრით ჰგავს იმას, შესარჩევი ეტაპის პირველი ორი მატჩი რომ მოიგო. ტექნიკური და ნიჭიერი ფეხბურთელები არ გვაკლია: ლოსკოვი, იზმაილოვი, კერჟაკოვი, ბისტროვი. მან ტირანაშიც და თბილისშიც „გაუთლელი ხეები" ათამაშა. ძმები ბერეზუცკების იმედზე თუ ვიქნებით, მარცხი გარანტირებული გვექნება".

კითხვაზე, რატომ მომრავლდნენ ნაკრებში ცსკა-ს ფეხბურთელები და ერთ მშვენიერ დღეს ეროვნული გუნდი სულ არმიელებით რომ გაივსოს, რა მოხდებაო, კოლოსკოვმა მიუგო: „მაშინ ნაკრებში გაზაევის ადგილი აღარ დარჩება და მოვხნით".

ვაჟა ხუციშვილი

წავალ, არ წავალ, აბრამოვიჩმა იკითხოს ვილაპარაკოთ ადრიანიანურად

დანიელე ადანი

რომან აბრამოვიჩი „ინტერისა" და იტალიის ნაკრების ფორვარდით, კრისტიან ვიერით რომ დაინტერესდა, გეხსომებათ. მილანელთა უარის შემდეგ კი მათი მეორე თავდამსხმელი, ერნან კრესპო მოინდომა. იტალიურმა კლუბმა ეს წინადადებაც შორს დაიჭირა, განაცხადა, არგენტინელი არ იყიდებაო.

თავისი კარიერით თავბრუდახვეულმა ერნან კრესპომ კი ამ ფაქტს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ყველამ იცის, როგორი ცხოვრება აქვს ფეხბურთელს. შარშან ზაფხულში დარწმუნებული ვიყავი, რომ „ლაციოში" დავრჩებოდი, თუმც „ინტერმა" სარფიანი კონტრაქტი შემომთავაზა. ყველას შევახსენებ, რომ კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ არასოდეს არ იცი, რა მოხდება ცოტა ხნის მერე".

ამის პარალელურად „ინტერი" ისევ კილი გონსალესის გადაყვანას ცდილობს, მაგრამ „შავ-ლურჯებში" კიდევ ერთი არგენტინელის გადასვლა არა და არ ხერხდება. ამჯერად პრობლემა ის გახლავთ, რომ ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში კილი გალისიური კლუბისგან 1,25 მილიონ გირვანქას მოითხოვს. რაზეც ესპანელები არ თანხმდებიან.

„თუ „ვალენსია" პოზიციას არ შეიცვლის, შეთანხმება არ შედგება" — განაცხადა კილის აგენტმა მარსელო ლომბილამ.

ამასობაში „ფიორენტინას" ყოფილ და „ინტერის" ამჟამინდელ მცველ დანიელე ადანის კლუბის სათამაშო ფორმა აწუხებს და ტურინის „იუვენტუსს" აშინებს.

საქმე ისაა, რომ მოსამზადებელ პერიოდში „ინტერი", „მილანი" და „იუვენტუსი" არაერთხელ შეეყარნენ ერთმანეთს. აქედან უმეტეს შემთხვევაში ტურინელებმა იმარჯვეს და მეტოქეებზე უკეთესი თამაში აჩვენეს, მაგრამ ადანის თქმით, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს.



ერნან კრესპო

„იუვენტუსი" არ უნდა გააყოყოჩოს ბოლო ხანს მოგებულმა თამაშებმა. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მარჩელო ლიპის გუნდი საუკეთესოა. „ინტერს" ამსტერდამის ტურნირზე კარგად არ უთამაშია, მაგრამ შემდეგ „მილანიც" დავამარცხებთ და ტურინელებიც. როდესაც დიდი გუნდები ერთმანეთს წინა სასეზონო პერიოდში ხვდებიან, მატჩი შეიძლება ნებისმიერი შედეგით დასრულდეს. ეს თანამედროვე ფეხბურთის ჩვეულებრივი კანონია. ჩვენ ნორმალურ ფორმაში ვართ და სწორ გზას ვადგავართ, რაც ყველამ უნდა გაითვალისწინოს" — აღნიშნა ადანიმ.

გიორგი ქაქაბაძე

შვილივით ნაზარდი მილიონები

პატარა ზიდანი ძვირი სიამოვნებაა

დიეგუს გამამლებას უპირებენ

„ტოტენჰემის" მწვრთნელ გლენ ჰოდლს ბრაზილიელი დიეგუ მოსწონებია, ცხადია, როგორც ფეხბურთელი.

„სანტოსის" 18 წლის ვარსკვლავი პელესავით ათნომრიანი მაისურით თამაშობს და ქომაგებმა „პატარა ზიდანი" შეარქვეს. დიეგუს პასები რაგინდარა დაცვას არღვევს, „ტოტენჰემს" კი გამთამაშებელი სჭირდება.

„სანტოსის" თავკაცი ემერსონ ლეაო: „მას შეტევის ორგანიზება ზიკოზე უკეთ შეუძლია". „პატარა ზიდანი" შარშან ბრაზილიის ჩემპიონი გახდა, ამ სეზონში „კოპა ლიბერტადორესის" ფინალშიც გავიდა, ერთი თვის წინ „კონკაკაფის ოქროს თასზეც" შესანიშნავად გაისარჯა.

ლონდონელი „მამლების" დირექტორი დევიდ პლიტი ბრაზილიაში დიეგუს შესათვალიერებლად ჩასულა და სანტოსელებისთვის 5 მილიონ 600 ათასი გირვანქა შეუთავაზებია. „სანტოსის" პრეზიდენტმა მარსელო ტეიშეირამ იცოტავა: „ექვსი წელიწადია, თავს ვევლებით და ვზრდით. იგი გაცილებით ძვირი ღირს. ჩვენ ამ გარიგებიდან შვიდი მილიონი გირვანქა მაინც უნდა დაგვრჩეს".

„ტოტენჰემს" ერთი მილიონი ენანება? არა, საქმე ისაა, რომ კონტრაქტის თანახმად, „სანტოსს" დიეგუს სანაცვლოდ მიღებული თანხიდან მხოლოდ 60 პროცენტი ეკუთვნის, ამიტომ ლონდონელებმა შვიდი მილიონი გირვანქა პირადად ბრაზილიულ კლუბს უნდა ჩააჩუტონ და ამ შემთხვევაში ფეხბურთელი გაცილებით ძვირი დაუჯდებათ.

თვითონ დიეგუ ევროპაში გადაბარგების წინააღმდეგი არაა, მიუხედავად იმისა, რომ „სანტოსთან" კონტრაქტი 2007 წლამდე აქვს. თან ამბობენ, ინგლისურს სწავლობსო. ალბათ, სალონდონედ ემზადება.

ვაჟა ხუციშვილი

არ დაიზარო, სება

რა ჰქნა არგენტინელმა ვარსკვლავმა, ხუან სებასტიან ვერონმა ამ ცოტა ხნის წინ? რა და, „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „ჩელსიში" გადავიდა. შესაბამისად, ალბათ, ჩემოდნები ჩაალაგა, საჭირო ნივთები შეფუთა და მანჩესტერიდან ლონდონში გადაიტანა, მაგრამ...

მანქანები? სება რომ თავის მანქანებზე აფრენს?

მანქანებს ვერონი ნამდვილად ვერავის ანდობს (ადრე თურმე ანდობდა) და სათითაოდ, თავად აპირებს მათ დედაქალაქში ჩაგელვებას. თუ გავიხსენებთ, რომ ლონდონსა და მანჩესტერს შორის 400 მილია, ხოლო სებას ფარეხში ჰყავს „ფერარი მარანელო", „ფერარი სპაიდერი", „მერსედესი", „ლამბორჯინი მურჩელაჯო" და „ჰამერ H2", გამოდის, რომ არგენტინელმა ჯამში 8 ათასი მილი უნდა ჩამოიტიოს. როგორც თავად განაცხადა, ყოველი გზის წინ ლონდონიდან მანჩესტერში ჩაფრენას აპირებს.

ცნობისთვის: ეს მანქანები ერთად 600 ათასი გირვანქის ღირებულებისაა.

ბაჩუნა ძიძია





რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგური მატჩი 20 აგვისტო

გერმანია — იტალია

გერმანია

დიდი ერის კლდე
ფიოლერს ცოლი და ცხრა მცოცავი გაუხსენეს

გერმანია — იტალია ისეთი დიდი დაპირისპირება არაა, როგორც გერმანია — ინგლისი, მაგრამ ალემანებისა და აპენინელების შეხლა ყოველთვის განსაკუთრებული ამბავია. აბა, გაიხსენეთ 1970 წლის მუნდიალის ნახევარფინალი, 1982 წლის ფინალი... თუმც, გასახსენებელი სხვაც არის, თუნდაც ევროპის 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, როცა იტალია ჯგუფში ჩარჩა — ბოლო შეხვედრაში მომავალ ჩემპიონ გერმანიას ვერ მოუგო — 0:0.

ახლა გერმანელებს და მათ მთავარსარდალ რუდი ფიოლერს ერთიორად სჭირდებათ იტალიის დამარცხება. საქმე ისაა, რომ 2000 წელს ევრო 2002-ის შესარჩევ ციკლში გერმანიამ ინგლისს „უემბლიზე" მოუგო 1:0 და მას შემდეგ დიდი საფეხბურთო ერისთვის აღარ მოუგია. იმავე შესარჩევში შინ 1:5 წააგო ინგლისთან და მერე ბობოლებს ველარ ამარცხებს, თორემ რუდი ფიოლერის გაწვრთნილი ბუნდესნაკრები შარშანდელ მუნდიალზე ხომ მეორე გახლდათ.



მიხაელ ბალაკი გერმანიას ვერაფრით დაეხმარება

„იტალიის წინააღმდეგ თამაში ნებისმიერი ნაკრების ფეხბურთელთათვის კარიერის ნათელი წერტილია. მძიმე მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ ხომ ყოველთვის შეგვიძლია ვაჩვენოთ, თუ რისი მაქნისნი ვართ. ჩვენ ყოველთვის კარგ ფეხბურთს ვქადაგებდით" — განაცხადა ფიოლერმა.

მაღალფარდოვანი სიტყვები ერთია, მაგრამ ფიოლერს პრობლემები მოსძალებია — გერმანიის ნაკრებს ერთბაშად ცხრა ტრავმირებული ფეხბურთელი აკლია. ყველაზე ბოლოს ბერლინის „ჰერტას" მცველი არნი ფრიდრიხი დაშავდა — მან გუშინწინდელ ვარჯიშზე მუცლის კუნთი დაიზიანა, ხოლო შაბათს ბაიერნელი სებასტიან დაისლერი „ბოხუმთან" მატჩში დაზარალდა. ფიოლერის დანარჩენი ლაზარეთი კი ასეთია: დიტმარ ჰამანი, კრისტიან ციგე, ტორსტენ ფრინგსი, კრისტოფ მეცელდერი, იორგ ბიომე, იანს ნოვოტნი და მიხაელ ბალაკი.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ 1987-92 წლებში ფიოლერი „რომაში" თამაშობდა და თავის გულისწორიც იქ გაიცნო — რუდის იტალიელი ცოლი ჰყავს. რაც შეეხება ფიოლერის შეხლას იტალიის ნაკრებთან, ფეხბურთელობისას „რუხ მგელს" ეს ორჯერ მოუწია — 1985 წელს ამხანაგურ მატჩში გერმანიამ შინ 2:1 მოიგო, ხოლო 1988 წელს გერმანიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მატჩი 1:1 დასრულდა.

სავარაუდო შემადგენლობა
კანი, ჰინკელი, ბაუმანი, ვიორნსი, ფრაიერი, რამელო, იერემისი, რაუ, შნაიდერი, ნოივილი, ბობიჩი

დავით თავართქილაძე

იტალია



ჯოვანი ტრაპატონი

რა დროს ამხანაგობაა?!
ტრაპატონის სტრატეგიული არჩევანი: ძალა და ღონე

იტალიის ეროვნული ნაკრები მაღალი კლასის თავდამსხმელების ნაკლებობას თითქმის არასოდეს განიცდის. „სკუადრა აძურას" ამჟამადაც მრავლად ჰყავს ბრწყინვალე შემტევი მოთამაშეები — ვიერი, დელ პიერო, ტოტი, ინძაგი, მონტელა... გარდა გამოცდილი ფორვარდებისა, ტრაპატონის გუნდში გამოჩნდნენ პერსპექტიული ფეხბურთელები — კორადი, მიკოლი და კასანო. ამიტომაც ძნელია ყველა მათგანი ნაკრებში გამოიძახო და ძირითად შემადგენლობაში ათამაშო. ეს პრობლემა „სკუადრა აძურას" თავკაცებს ყოველთვის ჰქონდათ და ზოგჯერ არასწორ გადაწყვეტილებებსაც იღებდნენ. ამის დასტურად თუნდაც 1998 და 2002 წლების მუნდიალების გახსენებაც კმარა. პირველ შემთხვევაში, ჩეზარე მალდინიმ ვერ გარისკა რობი ბაჯოსა და ალექს დელ პიეროს მოედანზე ერთად გაყვანა, კორეა-იაპონიაში კი ჯოვანი ტრაპატონიმ ტოტისა და იმავე დელ პიეროს შორის არცთუ სწორი არჩევანი გააკეთა და რომაელს ენდო.

ამჯერად დონ ტრაპი გერმანიასთან დღევანდელ ამხანაგურ მატჩში ტოტი-დელ პიერო-ვიერის შეწყვილებას აპირებს, მეოთხე კაცად კი ბერნანდო კორადი ჰყავს. ხოლო ნაკრებს მილმა პიპო ინძაგი რჩება. ჭაღარა მწვრთნელის თქმით, მილანელი მის ამჟამინდელ ტაქტიკურ მონახაზში არ ჯდება და ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ნაკრებში საერთოდ აღარ ითამაშებს.

„მე ველაპარკე პიპოს და ავუხსენი, რომ ახალი სქემის გამოცდას ვაპირებ, რაც რამდენიმე ცვლილებას მოითხოვს. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ან სხვა ფეხბურთელები სამუდამოდ მოვკვეთე ნაკრებიდან. უბრალოდ ისინი, ჩემს ამჟამინდელ ტაქტიკურ მონახაზში არ ჯდებიან" — განაცხადა ტრაპატონიმ.

სავარაუდოდ, ტრაპატონი 4-2-3-1 სქემის გამოცდას აპირებს და მისი ჩანაფიქრით, ის ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი ისეთი ჯანიანი უნდა იყოს, როგორიც კრისტიან ვიერი ან თუნდაც ბერნანდო კორადია. ხოლო პიპო ინძაგისნაერი გაწრიპული თავდამსხმელისთვის ამ სისტემაში ადგილი არ მოიძებნება.

შტუტგარტული მატჩის მნიშვნელობაზე ტრაპატონიმ განაცხადა, რომ მისთვის ეს შეხვედრა სულაც არ არის უბრალოდ ამხანაგური და იტალიის ნაკრების წარმატების დიდი იმედი აქვს. ხოლო ალესანდრო დელ პიეროს კომენტარი ასეთი გახლავთ: „მართალია, ნამდვილი ფეხბურთი დაახლოებით 15 დღეში იწყება, მაგრამ წაგება არავის უყვარს და ასეთი თამაშები ყოველთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. იმედია, გავიმარჯვებთ, რაც უდავოდ დაგვეხმარება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით".

აქვე აღვნიშნოთ, რომ იტალიას ალესანდრო ნესტა და კრისტიანო ძანეტი დააკლდებიან. ისინი ნაკრებში სავარჯიშოდ კი გამოცხადდნენ, მაგრამ სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ ორივეს მილანში დაბრუნება მოუხდათ. ჯოვანი ტრაპატონიმ კი მათ ნაცვლად სხვა ფეხბურთელების მიწვევა არ ისურვა.

ნესტა ლუიჯი ბერლუსკონის თასზე „იუვენტუსთან" მატჩში დაშავდა, ხოლო კრისტიანო ძანეტის „ინტერის" მოსამზადებელ პერიოდში მიღებულმა ტრავმამ შეახსენა თავი. ძირითად შემადგენლობაში მათ ადგილს სავარაუდოდ ორი იუვენტუსელი დაიკავებს — ნიკოლა ლეგროტალიე და ალესიო ტაკინარდი.

გერმანიასთან მატჩი „სკუადრა აძურასთვის" გენერალური რეპეტიციაა 2004 წლის ევროპის ჩეპიონატის შესარჩევ ციკლში სერბეთთან და უელსთან შეხვედრების წინ. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორ შეხვედრაში იტალიას აუცილებლად მოგება ესაჭიროება, მაგრამ უაზროდ გაფლანგული ქულების გამო ტრაპატონის გუნდი შესაძლოა, ამ შემთხვევაშიც ვერ მოხვდეს პირდაპირ პორტუგალიაში.

სავარაუდო შემადგენლობა
ბუფონი, პანუჩი, ლეგროტალიე, კანავარო, ოდო, ტაკინარდი, ამბროზინი, პეროტა, დელ პიერო, ტოტი, ვიერი

გიორგი ქაქაბაძე



აჯანყებულმა კლოდ მაკელელემ თავი სამშობლო-საფრანგეთს შეაფარა

ფრანგი ფრანგისა სწორია
სანტინიმ ესპანური არა, მაკელელე კი იცის

მადრიდის „რეალის" გაფიცული ნახევარმცველი კლოდ მაკელელე, რომელიც აგერ უკვე ერთი კვირაა ხელფასის მომატებას ითხოვს და არ ვარჯიშობს, თავისი ქვეყნის, საფრანგეთის ნაკრების ბანაკშია და შვეიცარიასთან ამხანაგური შეხვედრისთვის ემზადება. მოგეხსენებათ, „რეალის" ხელმძღვანელობამ მაკელელეს ხელფასის გაზრდაზეც უარი განუცხადა და „ჩელსიში" გაყიდვაზეც.

ორშაბათს ნახევარმცველმა კლოვრის სპორტულ ცენტრში ნაკრებთან ორი საათი ივარჯიშა, ხოლო წვრთნას ბევრი ჟურნალისტის გარდა ბევრი მაყურებელიც დაესწრო. ვარჯიშის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მაკელელე მედიას განერიდა, ხოლო ნაკრების მწვრთნელმა, ჟაკ სანტინიმ დაადასტურა, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფისში მადრიდიდან მივიდა ფაქსი, რომელშიც „რეალის" ხელმძღვანელები ფრანგულ მხარეს მაკელელეს დასჯას და გუნდიდან მოკვეთას სთხოვდნენ.

„ფაქსი დღეს მივიღეთ — განაცხადა სანტინიმ — მაგრამ ტექსტი ესპანურად ეწერა და ჩვენთვის მისი გაგება ძალიან ძნელი გახლდათ".

ასეთი პასუხი სხვას არას უნდა ნიშნავდეს თუ არა მადრიდელების თხოვნაზე უარს, მით უფრო, რომ ზოგი წყაროს მიხედვით, ესპანელებმა პარიზში ფაქსი ჯერ კიდევ შაბათს გააგზავნეს. რა მოხდა ამის შემდეგ? იტყუება ჟაკ სანტინი თუ ორშაბათამდე არ უნახავს ის წერილი?

როგორც საფრანგეთის ნაკრების პრესატაშე ფილიპ ტურნონი აცხადებს, ფაქსის თარგმნა მას დაევალა. მისი ვერსიით, მადრიდიდან გამოგზავნილ ფურცელზე ეწერა, მაკელელე ფორმაში არ არის და ნაკრებში მის თამაშს არ გირჩევთო. შემდეგ კი ტურნონმა განაცხადა, რომ ფრანგებს მაინც საკუთარი თვალით უჯობდათ ნახევარმცველის ნახვა.

როგორც იცით და აქაც გავიმეორეთ, მაკელელეს ჯანყის მიზეზი მისი, ყველაზე დაბალი ხელფასია მადრიდელ „ლოს გალაქტიკოსთა" შორის. ოღონდ ის, რაც ფრანგთა ვარჯიშის ბოლოს მოხდა, უფრო პოლიტიკური დეკლარაცია გახლდათ: ეგრეთ წოდებული ფეხის ფრენბურთი, ორი-ორზე, „იუვენტუსის" წყვილმა, ლილიან ტურამმა და დავიდ ტრეზეგემ, „რეალის" წყვილთან (მაღალ და დაბალხელფასიან) ზინედინ ზიდანთან და კლოდ მაკელელესთან ითამაშა. ერთი სიტყვით, გალაქტიკაში დაშორებულ ფრანგებს ნაკრებში ძმობა ჰქონიათ და ამის დამტკიცებაც უნდოდათ.

პაატუნა ძიდია



ჟაკ სანტინიმ „რეალს" მაკელელე დაუმალა

ამხანაგური მატჩი 20 აგვისტო

შვეიცარია — საფრანგეთი

საფრანგეთი

მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), გრეგორი კუპე (ლიონი);
მცველები: მარსელ დესაი (ჩელსი, ინგლისი), ვილი სანიოლი, ბიქსენტ ლიზარაზუ (ორივე ბაიერნი, გერმანია), ფილიპ მექსეში (ოსერი), მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ლილიან ტურამი (იუვენტუსი, იტალია);
ნახევარმცველები: ოლივიე დაკური (რომა, იტალია), ლუდოვიკ ჟიული (მონაკო), კლოდ მაკელელე, ზინედინ ზიდანი (ორივე რეალი, ესპანეთი), ბენუა პედრეტი (სოშო), რობერ პირესი, პატრიკ ვიეირა, სილვენ ვილტორდი (სამივე არსენალი, ინგლისი);
თავდამსხმელები: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი, იტალია), ჯიბრილ სისე (ოსერი), სტივ მარლე (ფულემი, ინგლისი)

რიგითი მხსნელი

„ვალენსიასთან“ ამხანაგური შეხვედრის შემდეგ თანაგუნდელებმა და ჟურნალისტებმა მადრიდის „რეალის“ მეკარე იკერ კასილისს იკერ-მხსნელი შეარქვეს. თამაში დაძაბული იყო და კასტილიურმა გრანდმა საბოლოოდ ოდენ პენალტების სერიაში შეძლო გამარჯვების მოპოვება, რაშიც ახალგაზრდა მეკარეს ლომის წილი უძევს. იკერი მომავალს იმედიანად შესცქერის, „რეალს“ კი 2003-04 წლების პრიმერაში, ჩანს, კვლავაც საიმედო კარის დარაჯი ეყოლება. გთავაზობთ კასილისისა და მადრიდული „ასის“ ჟურნალისტის საუბარს

— ვალენსიაში ისევ იკერ-მხსნელი ვიხილეთ...

— გუნდში ნებისმიერ მოთამაშეს თავისი გარკვეული როლი აქვს და, რა თქმა უნდა, ერთი რამ მეც მეკისრება — „რეალის“ კარის მეტ-ნაკლებად მშრალად შენახვა. მცველები ამაში მეხმარებიან და მეც ვცდილობ, ჩემი როლი კარგად შევასრულო. ეს არის და ეს.

— ყოველი კარგი მატჩის შემდეგ „მხსნელის“ ტიტულით გამკობენ. ეს ამბავი ცოტათი ხომ არ გაღიზიანებთ?

— არანაირად. თუმც მე მხსნელი კი არა, ის ადამიანი ვარ, რომელიც „რეალის“ გამარჯვებებისთვის და სამეფო გუნდში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. ეს ახლა ჩემთვის უმთავრესია.

— „რეალის“ აზიური სეზონთაშორისისას იქაური ჟურნალ-გაზეთები ზიდანთან, ბექემთან და რონალდოსთან ერთად თქვენი სურათებითაც იყო აჭრელებული. ჩინეთსა თუ სხვა ქვეყნებში ძალიან პოპულარული ხართ...

— მართლა? შესანიშნავია! ნამდვილად ვერ მოგატყუებთ და ვერ გეტყვით, რომ ეს ფაქტი არ მახარებს.

— „მესტალიაზე“ ვალენსიელთაგან ყველაზე უიღბლო პენალტისტი პელეგრინო გამოდგა. „რეალის“ ჯერჯერობით ბოლო გამარჯვება კი კასილისის მოგერიებულმა თერთმეტმეტრიანმა განაპირობა. ამ რთული ეპიზოდის შესახებ რას იტყოდით?

— ძალიან კარგად დაარტყა, მაგრამ კუთხე გამოვიცანი და აღარ გავატანინე. გულახდილად გეტყვით, რომ ამაში ბედიც დამეხმარა.

— მეკარის ოსტატობას ბოლომდე დაეუფლეთ თუ კიდევ რაიმე დაგრჩათ დასახვეწი? მაღალ ბურთებზე გამოსვლისას რამდენჯერმე შეცდით.

— ალბათ ხუმრობით მეკითხებით. გულშემატკივარმა რომ ჩემი საუკეთესო მეკარეობა იხილოს, ამისთვის ჯერ კიდევ ბევრი შრომა მომიწევს.

— ახლა „რეალის“ განაპირა მცველები კარის დარაჯისგან საკმაოდ მოშორებით ბურთაობენ. უკანა ხაზი რომ ზედმეტად გათავისუფლდა, თქვენთვის სახიფათო ხომ არ არის?

— ეს დიდად არ მაშფოთებს. ყველას თავისი სამუშაო აქვს და ჩვენს კლუბშიც საჭირო კანონზომიერება ყოველთვის დაცულია — მცველები და მეკარე ერთმანეთს საქმეს არ ურთულებენ.

— დევიდ ბექემის მოსვლის შემდეგ „რეალში“ შეტევას გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა. ეს კი მეკარისთვის დამატებითი პასუხისმგებლობაა.

— მეკარე ნებისმიერ ეპიზოდში უზარმაზარ პასუხისმგებლობას გრძნობს. დევიდზე კი გეტყვით, რომ იგი დაცვაშიც კარგად თამაშობს, რასაც „რეალისთვის“ მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეუძლია.

— ესე იგი, როდესაც მადრიდის „რეალს“ ვახსენებთ, მარტო მისი თავდასხმის ხაზი არ უნდა ვიგულისხმოთ?

— რასაკვირველია, არა. „ვალენსიამ“, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ერთი გოლიც ვერ გაგვიტანა. ელგერა, პავონი და სხვებიც დაცვაში შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს.

— კარლუშ კეირუშზე ვისაუბროთ. რა შეიცვალა სამეფო გუნდში პორტუგალიელის მოსვლის შემდეგ?

— ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევად მიმაჩნია. შეიცვალა ვარჯიშების რიტმი, თუმცა დელ ბოსკეს დროინდელი სწრაფვა დიდი გამარჯვებებისკენ კეირუშთანაც ძალაშია. არა მგონია, ეს რაიმე ცუდის მანიშნებელი იყოს.

— კლოდ მაკელელე „რეალს“ ფინანსურ მოსაზრებათა გამო დროებით გაემიჯნა. მისი და კასტილიური გრანდის დაპირისპირების შესახებ რას იტყოდით?

— ეს გადაწყვეტილება თავად მიიღო და მის შეხედულებათა პატივისცემაც გვმართებს, ისევე როგორც ჩვენი გუნდის ყოველი წევრისა. მეტს ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ.



იკერ კასილიასი

— დევიდ ბექემის შესახებ რას იტყოდით?

— ფანტასტიკური პიროვნებაა. ნელ-ნელა ეჩვევა „რეალურ“ ცხოვრებას. ენის პრობლემა კი აწუხებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ესპანურის შესწავლას უახლოეს ხანში მოახერხებს.

— თქვენ თავად თუ იცით ინგლისური?

— ცოტ-ცოტა რაღაცეები მესმის. ისე, დიდი ლინგვისტობით ვერ დავიტრაბახებ.

— დევიდთან ერთად მადრიდის „რეალი“ გასულ პრიმერაზე უკეთესად ითამაშებს?

— ჯერ არ ვიცი, თუმცა ყველაფრის მოგება გვინდა, პრიმერადივიზიონისაც, ჩემპიონთა ლიგისაც, სუპერთასისაც და სამეფო თასისაც. მომავალ სეზონში უქმად გაჩერებას არ ვაპირებთ.

— დაბოლოს, არის თუ არა იკერ კასილისი კასტილიური გრანდის ერთ-ერთი დიდ მნათობთაგანი?

— ამაზე პირდაპირ პასუხს ვერ გეტყვით. ამ და სხვა ამგვარი სახელებით ხალხი ამკობს ფეხბურთელებს, მე კი მხოლოდ 23-კაციანი დიდი გუნდის რიგითი წევრი ვარ. აი, ამ 23 მეომარში კი, მერწმუნეთ, „არავარსკვლავს“ ვერავის იპოვით!

მენდიეტას კვირის ბოლომდე დახურავენ

ალბერტო ტოლდრა გაისკა მენდიეტას აგენტია. ქერა ბასკი აგენტის დახმარებით რომის „ლაციოდან“ თავის დაღწევას ცდილობს. „ვალენსიაში“ გატარებულ ტკბილ წლებს ავადმოსაგონარი „ლაციო“ მოჰყვა, წინა სეზონი კი ფეხბურთელმა „ბარსელონაში“ გალია. „ბარსაში“ ლაპორტას და რაიკაარდის დრო მოვიდა და მენდიეტა კატალონიიდან წავიდა.



გაისკა მენდიეტა

რობერტო მანჩინის გუნდში მისი ადგილი არაა, სხვა ბუდე უნდა მონახოს. ამიტომაც დაძრწის ტოლდრა, თავისი კლიენტისთვის კლუბს ეძებს.

გასულ კვირას „მიდლსბროში“ ცალყბად ჩაიბუტბუტეს, ესპანელ ფეხბურთელს ჩვენთან სიამოვნებით მივიღებდითო. სულ ეს იყო, ახლა კი საქმე დაიძრა. ალბერტო ტოლდრა რომაელებს შეხვედრა. „ვესაუბრე იტალიელებს. თითქმის ყველაფერი მოვაგვარეთ, წვრილმანებიღა დარჩა“.

ეს ამბავი „ლაციოს“ პრეზიდენტმა უგო ლონგომაც დაადასტურა. „მენდიეტას გამო ბილბაოს „ატლეტიკმა“ და მადრიდის „ატლეტიკომაც“ მოგვაკითხა, მაგრამ მათზე მეტად „მიდლსბროა“ დაინტერესებული. ინგლისელებს მეტი შანსი აქვთ, ფეხბურთელის საკითხი, ვფიქრობ, კვირის ბოლომდე გადაწყდება“.

„მიდლსბროს“ „ჩელსიმ“ ჯერემი ნჯიტაპი რომ წაჰგვარა, მას შემდეგ მოსვენება დაკარგა. ბოროელები ხან „ინტერის“ სტეფან დალმას გადასწვდნენ, ხან — სხვა ფეხბურთელებს, მაგრამ სეზონის წინ სერიოზულად გაძლიერება ვერ შეძლეს. გაისკა მენდიეტას ტრანსფერი თუ შედგა, „მიდლსბრო“ დაიხატება.

ვაჟა ხუციშვილი



კამელ მერიემი

ბორდოს მადრიდული არჩევანი

რომან აბრამოვიჩმა ალექსეი სმერტინის შეძენა თუ ნამდვილად გადაწყვიტა, ეს ალბათ უფრო რუსთა გულის მოსაგებად, ვიდრე „ჩელსის“ გასაძლიერებლად.

ფაქტია, რომ სმერტინმა „ბორდოდან“ წასვლა და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, მის ნაცვლად კი ჟირონდელებმა მადრიდის „რეალიდან“ ალბერტ სელადესი დაიმატეს.

27 წლის ესპანელი ნახევარმცველი საფრანგეთში ერთი სეზონით გაუშვეს. წინა სეზონში „ბორდოს“ იჯარითვე ასევე რეალელი, ბრაზილიელი სავიო დაეხმარა და არცთუ ურიგოდ. როგორც ჩანს, ჟირონდელები „სამეფო კლუბს“ დაუძმაკაცდნენ და მეგობრობის გაგრძელებას აპირებენ.

სმერტინის გზას გაუდგა კამელ მერიემიც. არა, რუსეთში არ წასულა, გუნდიდან წავიდა. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი „ბორდოში“ „სოშოდან“ შარშან წაიყვანეს, მაგრამ ელი ბოპის ხელში ძირითად შემადგენლობაში თამაში არ ეღირსა.

„მარსელის“ მწვრთნელმა ალან პერენმა, მერიემი მე გამომადგებაო, ერთი წლით თავისთან წაიყვანა. „ახალგაზრდულ ნაკრებში მისი თამაში მომეწონა და იმედი მაქვს, რომ ახალ გუნდს მალე შეეწყობა. კამელს ფაბიო სელესტინთან წყვილში ნახევარდაცვის ცენტრში ვათამაშებ“ — თქვა პერენმა.

ვაჟა ხუციშვილი

აი, ასეთი, მხოლოდ ასეთი!
გაზას — ჰო, ლოთობას — არა!

გიჟი და გადარეული ინგლისელი ვარსკვლავი, 36 წლის პოლ გესქოინი გრეით ემველში 34 წლის ნაცოლართან, ოფიციალური თანაცხოვრების წლებში, „ზაპოის“ დროს მრავალგზის ნაბეგვ შერილთან რომ ცხოვრობს, შესაძლოა, სწორედ იმ გრეით ემველის ადგილობრივი საბჭოს წევრი გახდეს.

„ჩვენთვის დიდი პატივი იქნება...“ — და ასე შემდეგ სიტყვები უთხრა გესქოინს ერთ-ერთმა იქაურმა საბჭოს წევრმა, რაიმონდ ბრაუნმა, რომელმაც შესთავაზა კიდეც ფეხბურთელს ახალი პროფესია. გაზა, მოგეხსენებათ, ერთიორი თვის წინ, ამერიკაში, საგანგებო კლინიკაში ლოთობისგან განკურნეს. ახლა, საბჭოს წევრის რანგში მას თვითონ მოუწევს ბავშვთა ლოთობისა და ნარკომანობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაციების გაძღოლა.



თუმცა ყველაფერი არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს. გაზას ორი გამოკლებული წევრის ადგილისთვის ბრძოლის შანსი აქვს.

ბაკუნა ძედია

ფაფუ ფლა-ფლუ

„ფლუმინენსე“ — „ფლამენგო“. მენგოელმა ჟანმ სტუმრებს სამი ქულა დაამგზავრა

ბრაზილია

26-ე ტური: ვასკუ და გამა — ვიტორია 1:0; ბაია — ინტერნასიონალი 1:3; ფიგეირენსე — სანტოსი 1:0; კურიტიბა — ფუვენტუდე 1:0; ატლ. მინეირო — ატლ. პარანენსე 1:2; სან პაულუ — კრისიუმა 0:0; პაისანდუ — კორინთიანსი 2:2; სან კაეტანო — ფორტალეზა 3:0; პონტე პრეტა — კრუზეირო 1:3; პარანა — გუარანი 0:0; ფლუმინენსე — ფლამენგო 0:1; გრემიო — გოიასი 0:1

ბრაზილიაში, რა თქმა უნდა, გრძელდება მწვრთნელთა ცეკვები. ლუის კარლოს კრუსი აპრილიდან მოყოლებული მეორედ გაიქცა მაჩანჩალა „ფორტალესას“ მწვრთნელობიდან. პირველად კრუსი მაშინ გადადგა, როცა ჩემპიონატი ერთი ტურის დაწყებული იყო, მაგრამ 11 მატჩის თავზე კვლავ დაბრუნდა, რადგან მისი შემცვლელი ფერნანდინიო ტეიშეირა ასევე გადადგა. იმის შემდეგ კრუსი 24 თამაშში გაუძღვა გუნდს და „ფორტალესა“ 24-გუნდიან ცხრილში 21-ე ადგილს ვერ ააცილა.

ახლა გუნდმა კვლავ წააგო, 0:3 „სან კაეტანოსთან“, რომელიც 2000 და 2001 წლებში ზედიზედ გავიდა მეორე ადგილზე და ლიბერტადორესის თასის ფინალშიც ითამაშა. „სან კაეტანო“ ახლა მე-6 ადგილზეა და იოლადაც იმარჯვა ადემარის, მარსინიოსა და ვარლეის გოლებით. თანაც ამ გუნდს სეზონში მესამე მწვრთნელი ჰყავს.

კრუსი კი იმას გაუნაწყენებია, რომ ამ თამაშის წინ ბაზაზე გულშემატკივრები მიუცვივდნენ და აგინეს. ამიტომაც მივდივარო, განუცხადებია, თუმცა კლუბის პრეზიდენტი ჟორჟე მოტა მშვიდადაა, ფეხბურთი დინამიური სპორტია და ჩვენ სახელგანთქმული მწვრთნელის მოწვევა გვინდაო, აცხადებს ის.

ამასობაში კი ჩემპიონატს კვლავ ლიდერობს „კრუზეირო“, რომელმაც სტუმრად მოუგო „პონტე პრეტას“ 3:1. ანგარიში კოლუმბიელმა ვიკტორ უგო არისტისაბალმა გახსნა პენალტით, თუმცა სამი წუთის თავზე რაფაელ სანტოსმა ეს გოლი გაქვითა. პირველი ტაიმის მიწურულს ალეშმა კვლავ დააწინაურა სტუმრები, მარსიომ კი მეორე ტაიმში გაამყარა ანგარიში.

მეორე ადგილზე მყოფმა „სანტოსმა“ ფლორიანოპოლისში წააგო „ფიგეირენსესთან“. თამაშის ერთადერთი გოლი ტრიგუინიომ გაიტანა შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე. ეს მატჩი პირველი იყო „ფიგეირენსეს“ ახალი მწვრთნელის, ლუის ფარელოს ფერეირასთვის, ემერსონ ლეაომ კი სათადარიგოთა სკამზე გაამწესა ფორმაში ვერმყოფი ყრმა ვარსკვლავი რობინიო.

„მარაკანაზე“ კი დიდი რიოული დერბი იყო „ფლამენგოსა“ და „ფლუმინენსეს“ შორის, რომლებიც ახლა საცოდავი სანახავნი არიან. თამაში ას წუთს გაგრძელდა და მისი ბედი მენგოელ ჟანის ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა. „ფლუს“ გაუძევეს მცველი როდოლფუ და მწვრთნელი ჟოელ სანტანა, რომელმაც ფლამენგოელ ფეხბურთელს დაარტყა. იმხელა მარაკანაზე „ფლა-ფლუს“ მხოლოდ 22 179 მაყურებელი დაესწრო.

ლუდაუ დუ მუზკაუ

კრუზეირო	26	15	6	5	56:33	51
სანტოსი	26	14	6	6	48:30	48
სან პაულუ	26	13	8	5	46:34	47
ინტერნასიონალი	26	13	6	7	40:30	47
კურიტიბა	26	13	6	7	42:29	45
სან კაეტანო	26	10	11	5	28:21	41
კრისიუმა	26	11	6	9	34:33	39
ატლ. მინეირო	26	10	9	7	46:39	39
კორინთიანსი	26	9	10	7	42:32	37
პარანა	26	10	6	10	46:40	36
გუარანი	26	10	6	10	38:37	36
ფლამენგო	26	9	8	9	39:43	35
ფიგეირენსე	26	9	7	10	28:32	34
ატლ. პარანენსე	26	9	6	11	34:35	33
პაისანდუ	26	8	9	9	47:46	33
ვასკუ და გამა	26	8	8	10	32:39	32
ვიტორია	26	8	7	11	28:40	31
პონტე პრეტა	26	8	10	8	36:39	30
ბაია	26	7	7	12	29:45	28
გოიასი	26	6	10	10	40:42	28
ფორტალეზა	26	7	5	14	31:43	26
ფუვენტუდე	26	5	8	13	25:44	26
ფლუმინენსე	26	6	6	14	29:46	24
გრემიო	26	6	5	15	25:37	23

ხაირო პატინო

რივერი ვერ გასწორდა

არგენტინა

აპერტურა
III ტური

ხიმნასია — რასინგი 0:0; როსარიო — ჩაკარიტა 0:0; ბანფილდი — ინდეპენდიენტე 0:1; კილმესი — ესტუდიანტესი 0:0; არსენალი — ნუევა ჩიკაგო 1:1; ოლიმპო — ატლეტიკო რაფაელა 0:1; კოლონი — ტალიერესი 5:1; რივერ პლეიტი — ოლდ ბოიზი 0:2; ველესი — ბოკა ხუნიორსი 1:3; სან ლორენსო — ლანუსი 1:1

უილბლო გამოდგა მარსელო გალიარდოს დაბრუნება არგენტინის ჩემპიონატში. „მონაკოდან“ „რივერ პლეიტში“ წინა თვეში გადასული ფეხბურთელი მეორე ნახევარში შევიდა მოედანზე „ნიუელს ოლდ ბოისთან“ მატჩში, 75-ე წუთზე დაშავდა და ახლა ერთ თვეს ვერ ითამაშებს.

„რივერმა“ კი შინ წაგო 0:2 „ნიუელსთან“. ორმა კოლუმბიელმა, ხულიან ვასკესმა და ხაირო პატინომ თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანეს კლაუსურას ჩემპიონებს, რომლებმაც აპერტურა უხეიროდ დაიწყეს და სამი თამაშიდან ორი წაგეს.

წაგებულთა შორის იყო ასევე ევროპიდან ჩასული ჩილელი მარსელო სალასი, რომელიც ასევე ვერაფრით დაეხმარა გუნდს.

„ეს დიდი გამარჯვება იყო, დიდი სიამოვნება“, უთხრა პატინომ რეპორტიორებს.

ამ წაგებამ „რივერი“ მე-13 ადგილზე ჩააგდო, მაშინ როცა „ნიუელსი“, რომელსაც „რივერისა“ და „ბოკა ხუნიორსის“ ყოფილი მწვრთნელი ექტორ ვიერა მართავს, სამი ტურის თავზე დაუმარცხებელია და გოლიც არ გაუშვია.

ამასობაში, მთავარმა მეტოქემ, „ბოკამ“ ზედიზედ მესამედ მოიგო და ცხრილს სათავეში უდგას. „ბოკა“ „ველეს სარსფილდთან“ აგებდა, მაგრამ საბოლოოდ 3:1 იმარჯვა. „ველესი“ მაურო ობოლომ დააწინაურა პირველ ტაიმში. შესვენების შემდეგ ბრწყინვალედ ითამაშა ბოკელთა ახალმა კაცმა, ბრაზილიელმა იარლეიმ, რომლის მეცადინეობითაც 19 წლის კარლოს ტევესმა ანგარიში გაათანაბრა, მერე კი მცველმა როლანდო სკიავიმ დუბლი შეასრულა.

აპერტურას შარშანდელმა ჩემპიონმა „ინდეპენდიენტემ“, რომელმაც კლაუსურა ჩააგდო, კვლავ მშვენიერი თამაში უჩვენა და „ბანფილდს“ 1:0 მოუგო ემილიანო დუდარის გოლით. სხვა თამაშებში კარლოს ბილარდოს „ესტუდიანტესი“ უგოლოდ დაუზავდა ლუდისმხდელთა ახალგადასულ გუნდ „კელმესს“, „კოლონმა“ კი 5:1 მოუგო კორდობის „ტალერესს“.

ონორიო გუსტოს დომეკი

ბოკა ხუნიორსი	3	3	0	0	8:1	9
კილმესი	3	2	1	0	5:1	7
ინდეპენდიენტე	3	2	1	0	4:1	7
ატლ. რაფაელა	3	2	0	1	3:3	6
კოლონი	3	1	2	0	5:1	5
ოლდ ბოიზი	3	1	2	0	2:0	5
ჩაკარიტა	3	1	2	0	4:3	5
რასინგი	3	1	2	0	1:0	5
ბანფილდი	3	1	1	1	3:1	4
ესტუდიანტესი	3	1	1	1	4:3	4
ტალიერესი	3	1	1	1	3:6	4
როსარიო	3	1	1	1	2:5	4
ლანუსი	3	0	3	0	3:3	3
რივერ პლეიტი	3	1	0	2	2:6	3
არსენალი	3	0	2	1	2:3	2
ხიმნასია	3	0	2	1	2:3	2
ოლიმპო	3	0	1	2	2:4	1
სან ლორენსო	3	0	1	2	2:4	1
ნუევა ჩიკაგო	3	0	1	2	2:5	1
ველესი	3	0	0	3	2:8	0



გაბრიელ ომარ ბატისტუტას ყატარში ყვავილებით და სარფიანი კონტრაქტით დახვდნენ

ხუთი და სამი გულისთვის

ვეტერანმა არგენტინელმა ვარსკვლავმა, გაბრიელ ბატისტუტამ, კვირას, ყატარის „ალ არაბი სპორტს კლუბთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი. კონტრაქტი ორწლიანია და ფასით 8 მილიონ დოლარს უდრის. 34 წლის ბატისტუტამ ყატარელი ფეხბურთელები უნდა წვრთნას კიდეც და კლუბშიც უნდა ითამაშოს, რისთვისაც, პირველ წელიწადს 5 მილიონს მიიღებს, ხოლო მეორე წელიწადს, სამს. შეგახსენებთ, რომ ბატიგოლს, რომელსაც არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში 78 შეხვედრაში 56 გოლი აქვს გატანილი, ყატარი 2002 წელს, პირველი ვიზიტისას ჩაუვარდა გულში.

„აქ, დიდ ამოცანას ვხედავ შესაჭიდებელს და სწორედ ამიტომ დავყაბულდი კონტრაქტს. გულს ჩავდებ საქმეში, შეძლებისდაგვარად ბევრ გოლს გავიტან“ — განუცხადა არგენტინელმა რეპორტიორებს.

შეგახსენებთ, რომ ბატისტუტამ თავიდან სამშობლოში, „ბოკა ხუნიორსში“ თამაშით მიიპყრო ყურადღება. შემდეგ წლობით იტალიურ „ფიორენტინას“ ემსახურა, საიდანაც „რომაში“ გადავიდა, იქიდან კი „ინტერში“. ნაკრებში თამაშზე დიდმა ბომბარდირმა გასულ წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ განაცხადა უარი.

„კარიერას სიამოვნებით დავასრულებდი არგენტინაში, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია“ — ამბობს ის.

სხვათა შორის, ზემოთ „ბოკა ხუნიორსი“ კი ვახსენეთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბატისტუტამ სულ პირველად ბურთი „ნიუელს ოლდ ბოიზში“ გააგორა, იქიდან კი ჯერ „რივერ პლეიტში“ გადავიდა და მხოლოდ მერე „ბოკაში“, თუმცა რაც ზემოთ ვთქვით, ვიმეორებთ, აღმასვლა „ბოკაში“ დაიწყო.

1991 წელს კოპა ამერიკაზე მან ექვსი გოლი გაიტანა (ეს ჩემპიონატი ჩილეში გაიმართა და არგენტინამ მოიგო), საიდანაც „ფიორენტინაში“ გადაბარგდა. ფლორენციაში მან ცხრა სეზონში 269 შეხვედრაში 168 გოლი გაიტანა.

1993 წელს არგენტინამ და ბატისტუტამ ისევ მოიპოვეს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონობა, აი, მსოფლიოს ჩემპიონობა კი ბატიგოლის სამი ცდიდან (1994, 1998, 2002) ვერ შეძლეს.

2001 წელს, „რომაში“ გადასული ბატისტუტა იტალიის ჩემპიონი ხდება. იტალიის თასი კი მან 1996 წელს „ფიორენტინას“ შემადგენლობაში მოიგო.

პაპუნა ძედია





ალექს ფერგიუსონმა დევიდ ბექემის მაისურა ღირსეულ კაცს მოარგო

შვიდი ანუ დიდი მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი

დევიდ ბექემს უსტვინესო, ამბობენ. ეს „ვალენსიას“ ქომაგებს ჩაუდენიათ „მესტალიაზე“, ვალენსიელთა და „რეალის“ უგოლო შეხვედრის შემდეგ. იმ შეხვედრაში მადრიდელებმა და მათ შორის ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ძალიან ცუდად ითამაშეს, სრულიად უფანტაზიოდ

„ამის გადატანა არ გამიჭირდება, გვარიანად ძლიერი ვარ“ — თქვა ბექემმა, რომელიც ახლა ინგლისის ნაკრების ბანაკშია და ხორვატიასთან ამხანაგური თამაშისთვის ემზადება:

„ხალხმა მითხრა, რომ ვალენსიაში ძნელია ჩასვლა და თამაში. ძნელი იყო რონალდოსთვის და ზიდანისთვისაც. საერთოდ, ესპანეთში, რომ პირველ ექვს თვეს შეჩვევა უნდა, გაფრთხილებული ვიყავი და სრულიად დარწმუნებული გახლავართ, რომ ყველაფერს გავუძლებ. პირიქით, ეს ჩემთვის კარგი გამოწვევაა, მით უფრო, რომ დღეს, უცხოეთში ბევრი ინგლისელი სულაც არ თამაშობს. ერთი სიტყვით საინტერესო გამოცდილებას მივიღებ“.

შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილმა ვარსკვლავმა განაცხადა, რომ მისი „რეალში“ ტრანსფერის გამო ატეხილი აჟიოტაჟი, მართალია, მასაც კი გაუკვირდა, მაგრამ შეშინებით არაფერს არ შეუშინებია.

„ასეთი ცხოვრება ჩემი არჩევანია. ყოველთვის მინდოდა ცნობილი ფეხბურთელი ვყოფილიყავი და ოცნება საოცარი გადაჭარბებით ამიხდა, თუმცა ყველაფერზე მნიშვნელოვანი უშუალოდ ფეხბურთის თამაშია. თუ ეს პოპულარობა ფეხბურთის დაწყნარებით თამაში კი არა, ორომტრიალი და თავბრუა, მაშინ ასეთი არაფერი მინდა“.

„მანჩესტერ იუნაიტედში“ კი ბექემის ნომერი 18 წლის პორტუგალიელს, კრისტიანო რონალდოს ერგო.

„ის ახალგაზრდა და უეჭველად მეტისმეტად ნიჭიერია — შეაქო მემკვიდრე ბექემმა, — „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბედნიერია, ასეთი ფეხბურთელი რომ ჰყავს და ვატყობ, ფანებმა და ფეხბურთელებმა უკვე აუღეს ამ ამბავს ალღო. შვიდი ნომერი ამ კლუბში ბრაიან რობსონს და ჯორჯ ბესტს ეცვათ, ასე, რომ, მისი მფლობელი ძლიერი ფეხბურთელი უნდა იყოს, ისეთი, რომელსაც დიად ტალანტობაზე აქვს პრეტენზია“.

კიდევ, დევიდ ბექემმა განაცხადა, რომ რაც „მანჩესტერიდან“ „რეალში“ გადავიდა, ძველ მწვრთნელთან, ალექს ფერგიუსონთან არ ულაპარაკია, თუმცა იმედოვნებს, რომ შოტლანდიელ პედაგოგსა და მას შორის გართულებულ ურთიერთობას მისი ავტობიოგრაფიული წიგნი გაანათლებს. წიგნი მალე უნდა გამოვიდეს გასაყიდად.

„მანჩესტერი ისე დავტოვე, რომ ქომაგებთან ჩინებული ურთიერთობა შემინარჩუნდა, ისევე, როგორც ფეხბურთელებთან და ამ კლუბთან დაკავშირებულ ნებისმიერ ადამიანთან. ყოველივე ამის დაშლა-დანგრევაზე ფიქრიც კი მძულს“.

და ბოლოს, ნაკრებზეც:

„თუ ინგლისისთვის რაიმე დასამტკიცებელი მაქვს, მაშინ ამას ოთხშაბათს გავაკეთებ. მე ნაკრების კაპიტანი ვარ და ამხანაგურ თუ ოფიციალურ შეხვედრაში, მოედანზე მსურს ყოფნა“.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ნაკრები მხოლოდ კაპიტნისგან არ შედგება, იქ, სხვა ფეხბურთელებიც თამაშობენ, ოღონდ ამჯერად მათ შორის არ არის მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი. მას საზარდულის ტრავმა გაუმიზეზდა. ჰარგრივსი „ბაიერნის“ შეხვედრაში დაშავდა, თუმცა მაინც ჩაფრინდა ნაკრების ბანაკში, იფიქრა, თამაშს მოვახერხებო, მაგრამ ნაკრების ექიმებმა გასინჯეს და მასაც მიუნხენში მოუხდა დაბრუნება.

ფეხი ტკივა „ლივერპულის“ თავდამსხმელ ემილ ჰესკისაც, თუმცა ხორვატებთან, როგორც ამბობენ, ითამაშებს. ითამაშებენ ასევე მცირედ დაშავებულნი, ჯონათან ვუდგეიტი და სოლ კემპბელიც.

ხოლო მამები..?! მამები დიდ ამბავში გახლავან. მაგალითად, მეკარე კრის კირკლენდის მამა ედი — მას ყოველთვის სწამდა, რომ მისი ვაჟი ერთ მშვენიერ დღეს ეროვნულ გუნდში ითამაშებდა — 100 გირვანქას ჩადის ხორვატებთან თამაშის წინ.

„მამა ჩემს ნაკრებში მოხვედრაზე ფსონს მზად იყო ჯერ კიდევ მაშინ ჩასულიყო, როდესაც მე 12 წლის ვიყავი“ — განუცხადა გაზეთ „დეილი მირორს“ ედიმ.

პაპუნა კედია

კრის კერკლანდმა მამას სანაძღეო მოაგებინა

ამხანაგური მატჩი 20 აგვისტო ინგლისი — ხორვატია

ინგლისი

მეკარეები: დევიდ ჯეიმსი (ვესტ ჰემი), პოლ რობინსონი (ლიდსი), კრის კირკლენდი (ლივერპული);

მცველები: დენი მილსი (ლიდსი), რიო ფერდინანდი, ფილ ნევილი (ორივე მანჩესტერი), ჯონ ტერი, უეინ ბრიჯი (ორივე ჩელსი), ეშლი კოული, სოლ კემპბელი (ორივე არსენალი), ჯონათან ვუდგეიტი (ნიუკასლი);

ნახევარმცველები: დევიდ ბექემი (რეალი, ესპანეთი), სტივენ ჯერარდი, დენი მერფი (ორივე ლივერპული), პოლ სკოულზი, ნიკი ბეთი (ორივე მანჩესტერი), ტრევორ სინკლერი (სიტი), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი, გერმანია), ფრენკ ლამპარდი, ჯო კოული (ორივე ჩელსი), კირონ დაიერი (ნიუკასლი);

თავდამსხმელები: მაიკლ ოუენი, ემილ ჰესკი (ორივე ლივერპული), ჯეიმს ბიტი (საუთჰემპტონი)

ჩეხეთი

უმაღლესი ლიგა

სპარტა 3:0 ბუდიოვიცე

ბრნო	4	4	0	0	9:2	12
ბანიკი	4	3	1	0	11:4	10
ტეპლიცე	4	3	1	0	7:2	10
სლავია	4	3	0	1	7:2	9
სპარტა	4	2	2	0	8:1	8
ლიბერეცი	4	2	2	0	5:2	8
სიგმა	4	2	1	1	6:4	7
ქიფკოვი	4	2	0	2	5:4	6
პრეიბრამი	4	1	2	1	5:3	5
ზლინი	4	1	1	2	2:4	4
პლზენი	4	1	1	2	5:8	4
იაბლონეცი	4	1	1	2	3:7	4
სინოტი	4	0	1	3	3:8	1
ოპავა	4	0	1	3	1:9	1
ბლშანი	4	0	0	4	2:10	0
ბუდეიოვიცე	4	0	0	4	1:10	0

გერმანია

II ბუნდესლიგა, III ტური

მაინცი 2:1 ნიურნბერგი

1:0 და სილვა (32), 2:0 ტიურკი (51), 2:1 კრეინოვეკი (573)

უნტერჰახინგი	3	3	0	0	7:2	9
მაინცი	3	2	1	0	6:4	7
ნიურნბერგი	3	2	0	1	6:4	6
კოტბუსი	3	2	0	1	6:4	6
ობერჰაუზენი	3	2	0	1	6:5	6
ტრიერი	3	2	0	1	7:7	6
რეგენსბურგი	3	1	2	0	3:2	5
ბურგჰაუზენი	3	1	1	1	5:4	4
არმინია	3	1	1	1	4:3	4
ფიურტი	3	1	1	1	6:6	4
დუისბურგი	3	1	1	1	4:4	4
კარლსრუე	3	1	0	2	5:6	3
აუე	3	1	0	2	3:4	3
ალენი	3	1	0	2	3:5	3
ოსნაბრიუკი	3	1	0	2	3:6	3
ალემანია	3	0	2	1	4:6	2
ლიუბეკი	3	0	1	2	1:4	1
უნიონი	3	0	0	3	2:5	0

ინგლისი

ლიგის თასი

II ეტაპის ფინალისჭრა

პორტსმუთი — ნორთამპტონი; ბლეკპული — ბირმინგემი; ლესტერი — ქრიუ; უიგანი — ფულემი; სანდერლენდი — ჰადერსფილდი; ნოტსი — იფსვიჩი; ვულვერჰემპტონი — დარლინგტონი; კრისტალ პალასი — დონკასტერი; ჰარტლპული — ვესტ ბრომვიჩი; ბოლტონი — უოლსოლი; ბრისტოლი — უოტფორდი; ტრანმერი — ნოტინგემი; ოქსფორდი — რედინგი; ლიდსი — სუინდონი; სტოკი ან როჩდეილი — ჯილინგემი; კარდიფი — ვესტ ჰემი; ეკსეტერი — სტოკპორტი; ჩარლტონი — ლუტონი; როტერჰემი — კოლჩესტერი; სკანთორპი — ბარნლი; შეფილდ იუნაიტედი — ქუინზ პარკი; უიკომბი — ასტონ ვილა; ქოვენთრი — ტოტენჰემი; მიდლსბრო — ბრაიტონი

მატჩები გაიმართება 23-24 სექტემბერს

ჩილე

კლასუსერა, IV ტური

ტემუკო — უნივერსიდად დე ჩილე 2:1; უანჩიპატო — უნიოვერსიდად დე კონსეპსიონი 1:2; სან ფელიპე — კობრელოა 4:1; კობრესალი — უნივერსიდად კათოლიკა 1:1; უონდერერსი — კოკიმბო 2:1; პუერტო მონტი — რეინჯერსი 2:0; აუდაქს იტალიანო — უნიონ ესპანიოლა 3:2; კოლო კოლო — პალესტინო 2:1

პორტუგალია

სუპერლიგა, I ტური

გიმარაეში 1:0 ლეირია

1:0 ფანგაირუ (60)

ბელგია

სუპერლიგა, II ტური

ლეირსი 0:0 ბეერსხოტი

ანდერლეხტი	2	2	0	0	6:2	6
ბრიუგე	2	2	0	0	3:0	6
სენტ ტრუიდენი	2	1	1	0	4:1	4
ლუვიე	2	1	1	0	2:0	4
სტანდარდი	2	1	1	0	3:2	4
ლიერსი	2	1	1	0	1:0	4
ბეერსხოტი	2	1	1	0	1:0	4
გენკი	2	1	0	1	2:1	3
გენტი	2	1	0	1	5:5	3
ანტვერპენი	2	1	0	1	3:4	3
მუსკრონი	2	0	2	0	5:5	2
მონსი	2	0	1	1	3:4	1
ვესტერლო	2	0	1	1	1:2	1
ლოკერენი	2	0	1	1	0:1	1
სერკლი	2	0	1	1	0:2	1
ჰეუსდენი	2	0	1	1	0:2	1
შარლეროა	2	0	0	2	0:3	0
ბეევერენი	2	0	0	2	3:8	0

უკრაინა

უმაღლესი ლიგა, VI ტური

დნიპრო 2:0 ილიჩევეცი

დნიპრო — ილიჩევეცი 2:0; მეტალურგი (ზ) — დინამო 2:2; შახტარი — ვოლინი 3:1; კრივბასი — მეტალურგი (დ) 0:0; არსენალი — ვორსკლა 4:0; ჩერნომორეცი — ტავრია 2:0; კარპატი — ზირკა 0:0; ბორისფენი — ობოლონი 1:0

შახტარი	6	6	0	0	15:2	18
დნიპრო	6	5	0	1	13:3	15
დინამო	6	4	1	1	13:5	13
ჩერნომორეცი	6	3	2	1	7:4	11
მეტალურგი (დ)	6	2	4	0	9:6	10
ილიჩევეცი	6	2	2	2	7:7	8
კარპატი	6	2	2	2	7:7	8
ობოლონი	6	2	1	3	4:5	7
მეტალურგი (ზ)	6	2	1	3	6:8	7
არსენალი	6	2	0	4	8:11	6
ტავრია	6	1	3	2	3:6	6
ვორსკლა	6	1	3	2	4:11	6
ბორისფენი	6	1	2	3	2:5	5
კრივბასი	6	1	2	3	3:7	5
ზირკა	6	1	2	3	3:8	5
ვოლინი	6	0	1	5	4:13	1

ხორვატია

მე-4 ტური: ციბალია — ჰაიდუკი 2:3; ინკერი — ზაგრები 1:1; მარსონია — რიეკა 1:1; დინამო — ოსიეკი 4:0; ზადარი — კამენ ინგრადი 2:1; ვარტექსი — სლავენი 2:0

ისლანდია

პრემიერდივიზიონი

XVI ტური

ფრამი — ვესტმანაეიარი 2:1; გრინდავიკი — ბაფნარფიორდური 1:3; აკურეირი — აკრანესი 2:3. ფოლკირი — თროტური 1:5

იაპონია

ჯეი ლიგა, XVI ტური

კაშიმა — ნაგოია 1:0; ურავა — ივატა 3:1; კაშივა — კიოტო 2:1; ტოკიო — სერეზო ოსაკა 2:1; იოკოჰამა — ვერდი 2:2; შიმიცუ — სენდაი 2:2; გამბა — ოიტა 1:0; კობე — იჩიჰარა 0:1

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი						
		პრემიერლიგა. II ტური						
		23 აგვისტო						
16.00	001	ნიუკასლი-მანჩესტერი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
19.00	002	ბოლტონი-ბლექბერნი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
19.00	003	ჩელსი-ლესტერი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	004	ჩელსი-ლესტერი 0:1	1,75	3,2	3,0			
19.00	005	ევერტონი-ფულჰემი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
19.00	006	სიტი-პორტსმუთი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	007	საუთჰემპტონი-ბირმინგემი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.00	008	ტოტენჰემი-ლიდსი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.00	009	ვულვერჰემპტონი-ჩარლტონი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
		24 აგვისტო						
18.00	010	ასტონ ვილა-ლივერპული	3,0	3,2	2,25	1,54	1,28	1,32
20.05	011	მიდლსბრო-არსენალი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
		ინგლისი. I დივიზიონი. III ტური						
		23 აგვისტო						
19.00	013	ბრედფორდი-ჯილინგემი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.00	014	ბარნლი-უიგანი	2,25	3,3	2,9	1,33	1,26	1,54
19.00	015	დერბი-რედინგი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
19.00	016	იფსვიჩი-ქოვენტრი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	017	მილუოლი-ქრიუ	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
19.00	018	ნოტინგემი-კარდიფი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	019	როტერჰემი-ვესტ ჰემი	3,3	3,2	2,1	1,62	1,28	1,26
19.00	020	შეფილდი-ნორვიჩი	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
19.00	021	უოლსოლი-სტოკი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
19.00	022	უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
19.00	023	უიმბლდონი-კრ.პალასი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
21.35	024	პრესტონი-სანდერლენდი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
		შოტლანდია. პრემიერლიგა. III ტური						
		23 აგვისტო						
16.30	111	პარტიკი-სელტიკი	10,0	5,0	1,25	3,33	1,11	1
19.00	112	აბერდინი-დანფერმლაინი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
19.00	113	დანდი-ლივინგსტონი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
19.00	114	ჰართსი-დანდი იუნაიტედი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
19.00	115	მოზერუელი-კილმარნოკი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
19.00	116	რეინჯერსი-ჰიბერნიანი	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	117	რეინჯერსი-ჰიბერნიანი 0:1	1,5	3,6	3,6			
		გერმანია						
		ბუნდესლიგა. IV ტური						
		23 აგვისტო						
18.30	136	აინტრახტი-ჰერტა	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
18.30	137	ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
18.30	138	შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
18.30	139	ვერდერი-შალკე	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
18.30	140	კიოლნი-დორტმუნდი	3,6	3,2	1,95	1,69	1,26	1,21
18.30	141	მიუნხენი-ვოლფსბურგი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
18.30	142	ბოხუმი-ლევერკუზენი	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
		24 აგვისტო						
20.00	143	ჰამბურგი-ბაიერნი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
		საფრანგეთი. I დივიზიონი. IV ტური						
		23 აგვისტო						
20.15	180	ბორდო-ოსერი	1,9	3,1	4,0	1,17	1,28	1,74
23.00	181	ლილი-მეცი	1,65	3,2	5,6	1,08	1,27	2,03
23.00	182	ლიონი-ტულუზი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	183	ლიონი-ტულუზი 0:1	1,9	3,2	2,7			
23.00	184	მარსელი-სოშო	1,65	3,2	5,6	1,08	1,27	2,03
23.00	185	ნანტი-ლე მანი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
23.00	186	ნიცა-აიაჩო	1,65	3,2	5,6	1,08	1,27	2,03
23.00	187	რენი-გენგამი	1,85	3,0	4,4	1,14	1,3	1,78
23.00	188	სტრასბური-ლანსი	2,3	3,0	3,1	1,3	1,32	1,52
23.00	189	ბასტია-მონპელიე	2,0	3,0	3,8	1,2	1,31	1,67
		24 აგვისტო						
23.45	190	პსჟ-მონაკო	2,15	3,0	3,4	1,25	1,31	1,59
		ჰოლანდია. I დივიზიონი. II ტური						
		22 აგვისტო						
23.00	240	ალკმაარი-ტვენტე	1,95	3,4	3,4	1,23	1,23	1,7
		23 აგვისტო						
22.00	241	დენ ჰააგი-უტრეხტი	2,35	3,4	2,6	1,38	1,23	1,47
22.30	242	ჰერენვენი-ფეიენოორდი	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
22.30	243	ბრედა-ვიტესი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
22.30	244	პსვ-ტილბურგი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	245	პსვ-ტილბურგი 0:1	1,65	3,3	3,3			
22.30	246	როზენდალი-აიაქსი	6,5	4,0	1,45	2,47	1,18	1,06
		24 აგვისტო						
17.30	247	ზვოლე-ვალვაიკი	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4
17.30	248	ვოლენდამი-გრონინგენი	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
17.30	249	ნაიმეგენი-როდა	2,3	3,4	2,7	1,37	1,24	1,5
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIII ტური						
		21 აგვისტო						
20.30	367	ალიანსი-იოკერიტი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIV ტური						
		21 აგვისტო						
20.30	369	ტამპერე-კტპ	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	370	ტამპერე-კტპ 0:1	1,75	3,2	3,0			

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. V ტური								
21 აგვისტო								
22.00	428	სლავია-იაბლონეცი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	429	სლავია-იაბლონეცი 0:1	1,65	3,3	3,3			
22 აგვისტო								
21.00	430	სიგმა-სპარტა	3,8	3,2	1,9	1,73	1,26	1,19
23 აგვისტო								
17.25	431	ჟიჟკოვი-ბანიკი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
20.15	432	ოპავა-პრჟიბრამი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
20.15	433	ბუდეიოვიცე-ტეპლიცე	3,3	3,2	2,2	1,62	1,32	1,3
20.15	434	სინოტი-ზლინი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
20.15	435	ბლშანი-პლზენი	2,8	3,1	2,4	1,47	1,29	1,35

			1	X	2	1-X	1-2	X-2
25 აგვისტო								
19.40	436	ლიბერეცი-ბრნო	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
ბრაზილია. სერია A. XXVII ტური								
20 აგვისტო								
04.30	491	ჟუვენტუდი-ბაია	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
04.30	492	კრუზეირო-კურიტიბა	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
04.30	493	ატლეტიკო პრ-ფიგეირენსე	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
04.30	494	ვიტორია-გრემიო	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
04.30	495	კრიციუმა-პონტე პრეტა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
04.30	496	ფლამენგო-სან კაეტანო	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
04.30	497	გოიასი-პარანა	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76

ᲙᲠᲝᲙᲝᲡ ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝ (ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ, ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ № 11) 1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗᲐᲪ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ



ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

ᲙᲠᲝᲙᲝᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
ᲒᲝᲠᲘ	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
ᲗᲔᲚᲐᲕᲘ	კოსტავას ქუჩა №23	
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ	შარტავას ქუჩა №7	
ᲒᲐᲗᲣᲛᲘ	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	ალმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘ	რუსთაველის ქუჩა №39	
ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘ	გურიის ქუჩა №23	
ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ᲤᲝᲗᲘ	რკალი, რუსთაველის №18	
ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ	დავით ალმაშენებლის №30	
ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ	რუსთაველის გამზირი №27	
ᲮᲐᲨᲣᲠᲘ	რუსთაველის ქუჩა №16	
ᲬᲜᲝᲠᲘ	სტალინის ქუჩა №1	
ᲒᲝᲠᲯᲝᲛᲘ	რუსთაველის ქუჩა №145	
ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ	ნათენაძის ქუჩა №7	
ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ	სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია	
ᲡᲐᲠᲤᲘ	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

			1	X	2	1-X	1-2	X-2
05.40	498	ფორტალეზა-სან პაულუ	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
05.40	499	სანტოსი-პაისანდუ	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	500	სანტოსი-პაისანდუ 0:1	2,05	3,2	2,45			
05.40	501	კორინთიანსი-ვასკუ და გამა	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
		21 აგვისტო						
04.30	502	ინტერნასიონალი-ფლუმინენსე	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	503	ინტერნასიონალი-ფლუმინენსე 0:1		1,9	3,2	2,7		
04.30	504	გუარანი-ატლეტიკო მნ	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
		მექსიკა აპერტურა. I ტური						
		20 აგვისტო						
07.00	556	პუებლა-ატლასი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
		ევრო 2004						
		20 აგვისტო						
23.10	611	ფარერები-ისლანდია	5,0	3,4	1,65	2,02	1,24	1,11
23.15	612	სერბია-უელსი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
		ამხანაგური მატჩები						
		20 აგვისტო						
15.00	616	იაპონია-ნიგერია	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
16.00	617	ჩინეთი-ჩილე	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
20.00	618	რუსეთი-ისრაელი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
20.00	619	ესტონეთი-პოლონეთი	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1,2
20.00	620	სლოვენია-უნგრეთი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
20.00	621	ლატვია-უზბეკეთი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
21.00	622	უკრაინა-რუმინეთი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.00	623	თურქეთი-მოლდოვა	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
22.15	624	დანია-ფინეთი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
22.30	625	ბულგარეთი-ლიტვა	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
23.00	626	მაკედონია-ალბანეთი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
23.00	627	ნორვეგია-შოტლანდია	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
23.15	628	შვედეთი-საბერძნეთი	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81
23.15	629	ბელგია-ჰოლანდია	2,9	3,0	2,4	1,47	1,31	1,33
23.30	630	არგენტინა-ურუგვაი	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
23.30	631	ავსტრია-კოსტა რიკა	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
23.45	632	გერმანია-იტალია	2,4	3,0	2,9	1,33	1,31	1,47
23.45	633	შვეიცარია-საფრანგეთი	3,6	3,2	1,95	1,69	1,26	1,21
24.00	634	ინგლისი-ხორვატია	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
01.00	635	პორტუგალია-ყაზახეთი	1,08	8,0	17,0	1	1,01	5,44
01.00	636	კოლუმბია-სლოვაკეთი	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
06.00	637	მექსიკა-პერუ	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95

William HILL

უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

ინგლისი

პრემიერლიგა.

II ტური

23 აგვისტო

ნიუკასლი — მანჩესტერი ---------- 2,87 ------- 3,1 ----- 2,2
ბოლტონი — ბლექბერნი ---------- 2,5 ------- 3,1 ----- 2,5
ჩელსი — ლესტერი ---------- 1,22 ------ 5,0 ----- 9,5
ევერტონი — ფულემი ---------- 1,72 ------ 3,4 ----- 4,0
სიტი — პორტსმუთი ---------- 1,66 ------ 3,4 ---- 4,33
საუთჰემპტონი — ბირმინგემი ---------- 1,9 ------ 3,2 ----- 3,5
ტოტენჰემი — ლიდსი ---------- 2,1 ------ 3,2 ----- 3,0
ვულვერჰემპტონი — ჩარლტონი ---------- 2,25 ------- 3,1 ----- 2,8

24 აგვისტო

ასტონ ვილა — ლივერპული ---------- 3,1 ------- 3,1 ------ 2,1
მიდლსბრო — არსენალი ---------- 4,2 ---- 3,25 ---- 1,72

ინგლისი

პირველი დივიზიონი.

III ტური

23 აგვისტო

უოტფორდი — ვესტ ბრომვიჩი ---------- 2,5 ---- 3,25 ----- 2,4
ბრედფორდი — ჯილინგემი ---------- 1,9 ------ 3,2 ----- 3,5
ბარნლი — უიგანი ---------- 2,3 ------ 3,2 ---- 2,62
დერბი ქაუნთი — რედინგი ---------- 2,62 ------- 3,1 ---- 2,37
იფსვიჩი — ქოვენთრი ---------- 1,72 ------ 3,4 ----- 4,0
მილუოლი — ქრიუ ---------- 1,57 ------ 3,5 ----- 5,0
ნოტინგემი — კარდიფი ---------- 1,72 ------ 3,4 ----- 4,0
როტერჰემი — ვესტ ჰემი ---------- 3,4 ---- 3,25 ------ 1,9
შეფილდ იუნ. — ნორვიჩი ---------- 1,72 ------ 3,4 ----- 4,0
უოლსოლი — სტოკი ---------- 1,9 ---- 3,25 ----- 3,4
უიმბლდონი — კრისტალ პალასი ---------- 2,75 ------ 3,2 --- 2,25
პრესტონი — სანდერლენდი ---------- 2,1 ------ 3,2 ----- 3,0

ამხანაგური მატჩები

20 აგვისტო

იაპონია — ნიგერია ---------- 2,1 ------- 3,1 ------ 3,1
ჩინეთი — ჩილე ---------- 2,2 ------- 3,1 ---- 2,87
რუსეთი — ისრაელი ---------- 1,44 ------ 3,6 ----- 6,5
სლოვენია — უნგრეთი ---------- 1,8 ------- 3,1 ----- 4,0
უკრაინა — რუმინეთი ---------- 2,0 ------ 3,0 ----- 3,4
ლატვია — უზბეკეთი ---------- 1,36 ---- 3,75 ----- 8,0
თურქეთი — მოლდოვა ---------- 1,16 ------ 5,5 ---- 12,0
დანია — ფინეთი ---------- 1,44 ------ 3,6 ----- 6,5
ბულგარეთი — ლიტვა ---------- 1,28 ------ 4,5 ----- 8,0
ესტონეთი — პოლონეთი ---------- 3,5 ------ 3,2 ------ 1,9
ნორვეგია — შოტლანდია ---------- 1,57 ------ 3,3 ----- 5,5
ბელგია — ჰოლანდია ---------- 2,9 ------ 2,9 ----- 2,3
შვედეთი — საბერძნეთი ---------- 1,66 ------ 3,3 ----- 4,5
ავსტრია — კოსტა რიკა ---------- 1,9 ------ 3,2 ----- 3,5
გერმანია — იტალია ---------- 2,37 ------ 2,8 ----- 2,9
შვეიცარია — საფრანგეთი ---------- 3,8 ---- 3,25 ------ 1,8
ინგლისი — ხორვატია ---------- 1,53 ------ 3,4 ----- 5,5
პორტუგალია — ყაზახეთი ---------- 1,06 ------ 8,0 ----- 17,0
კოლუმბია — სლოვაკეთი ---------- 1,61 ------ 3,3 ----- 5,0
მექსიკა — პერუ ---------- 1,66 ------ 3,3 ----- 4,5

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

20 აგვისტო

ფარერები — ისლანდია ---------- 5,5 ------- 3,1 ------ 1,61
სერბეთი — უელსი ---------- 2,0 ------ 3,2 ----- 3,2

შოტლანდია

პრემიერლიგა. III ტური

23 აგვისტო

პარტიკი — სელტიკი ---------- 9,5 ------ 5,0 ---- 1,22
აბერდინი — დანფერმლაინი ---------- 2,0 ------ 3,2 ----- 3,2
დანდი — ლივინგსტონი ---------- 1,8 ------ 3,3 ---- 3,75
ჰართსი — დანდი იუნ. ---------- 1,66 ------ 3,4 ---- 4,33
მოზერუელი — კილმარნოკი ---------- 2,62 ------ 3,2 ----- 2,3
რეინჯერსი — ჰიბერნიანი ---------- 1,14 ------ 6,0 ---- 12,0

ლვინო, დუდუკი, ჰარლემი თბილისობას ცირკს ვნახავთ



ცირკში ვინ არ ვყოფილვართ. თავისთავად, ცირკი შესანიშნავი რამაა, წაიყვანდნენ მშობლები შვილებს, მასწავლებლები მოსწავლეებს, ბიჭები გოგონებს... მაგრამ ეს კარგა ხნის წინ ხდებოდა, როცა ცირკი ცირკობდა და შიგ დათვები და მაიმუნები ცხოვრობდნენ...

მაგრამ გინახავთ „ცოცხალი" საკალათბურთო ცირკი? არ გინახავთ, მაგრამ გაგონილი გექნებათ, რომ არსებობს საკალათბურთო საცირკო დასი „ჰარლემ გლობტროტერზი", რომელიც სამი მეოთხედი საუკუნეა, მსოფლიოში „დაეხეტება" და მართავს „ტრიუკებით" შეზავებულ მატჩ-შოუებს, ბურთით ჟონგლიორობას და ბევრს ისეთ რამეს, რითაც ხალისობს ყველა ასაკის მაყურებელი. ამიტომაც ხშირად უწოდებენ შოუს მთელი ოჯახისთვის. თანაც ესაა მსოფლიოში უძველესი საკალათბურთო გუნდი და რაც დათვლილა — მისი შოუ მილიონ 200 ათას კაცს უნახავს.

„ჰარლემ გლობტროტერზი" ნიკიტა ხრუშჩოვისდროინდელ საბჭოთა კავშირშიც ყოფილა და თბილისშიც შემოუვლია, თუმც არცთუ სრული პროგრამით და გუნდით, ახლა კი „ისტერნ პრომოუშენის" თაოსნობით კვლავ ეწვევა აწ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქს მას შემდეგ, რაც შოუ-მატჩებს გამართვს მოსკოვსა და კიევში.

ამერიკული ცირკი სულ ერთ დღეს გაჩერდება თბილისში, ისიც 26 ოქტომბერს, თბილისობა დღეს და უკვე 27-ში პარიზს გასწევს, საიდანაც მალიორკას პალმაში ჩავა და დამსვენებლებს ცხელ დღეს გაუხალისებს. „ჰარლემის" ასევე ერთი დღით თავისთან ხილვა სურდათ ბაქოელებსაც, მაგრამ აზერბაიჯანელებმა ვერ მოახერხეს საქმის ორგანიზება. „ჰარლემის" თბილისში სტუმრობას კი წინ თითქმის არაფერი უდგას. ყველაფერი შეთანხმებულია, მხოლოდ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაღა დარჩა.

თბილისში „ჰარლემი" სრული დასით, დაახლოებით 30 მოთამაშე-ჟონგლიორით, მწვრთნელებითა და მსაჯებით ჩამოვა. სპორტის სასახლეში სავარაუდოდ ვიხილავთ ძველ ნბა-ელ ვარსკვლავებს სედრიკ სებალოსსა და ოლდენ პოლინაისს. სედრიკ სებალოსი 90-იან წლებში ჩარლზ ბარკლის, მეჯიქ ჯონსონისა და ვლადე დივაცის მხარდამხარ თამაშობდა და ერთი ხანობა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერიც იყო. 1991 წელს მან ჩატენვების კონკურსიც მოიგო.

წარმოშობით ჰაიტელი ცენტრი, 213-სანტიმეტრიანი ოლდენ პოლინაისიც ნბა-ს კარიერის დასრულების შემდეგ ჩაეწერა „გლობტროტერზში". 1999-2000 წლებში ის „სიეტლ სუპერსონიქსში" ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას თანაგუნდელი გახლდათ.

ირაკლი ფირაყვილი



მნდი მაგრად გაიგრძედა

ყოველკვირა განახლებადი სამი რეიტინგსიიდან კაცია და ქალია 12-თვიან მგორავ ნუსხებში — განსხვავებით ჩემპიონთა რბოლისგან — არაფერი შეცვლილა. ამიტომაც ჩვენი კლავიატურის, ხოლო თქვენი ყურადღების შეჩერებაც სწორედ რბოლის საამკვირაო ზეოცეულზე ვარჩიეთ.

ეგ მით უფრო, რომ ამ კვირიდან რბოლას ახალი ლიდერი ჰყავს — ზედიზედ ორი მასტერსტიტულის მომხვეჭი და წლის განმავლობაში უკვე ხუთი ტიტულის დამგროვებელი ენდი როდიკი!

20 წლის ენდიბოი ნაროლანგარისევს ანუ მას შემდეგ, რაც რომ თავისი ბედი ახალ მწვრთნელ ბრედ გილბერტს ანდო, მართლაც საუცხოოდ ჩოგნაობს — 32 მატჩიდან 30-ში იმარჯვა და საკარიერო ტიტულმარაგიც ოთხი — ქუინზკლაბური, ინდიანაპოლისური, მონრეალური და ცინცინატური — ტიტულით შეივსო.

ჰოდა, გასაკვირიც არ არის, რბოლაში ზედ წლის უკანასკნელი სლემტურნირის წინ გაპირველებულს ამ ტურნირის უმთავრეს ფავორიტად რომ რაცხვენ.

სხვაფრივ — როდიკის მსგავსად წინა კვირის სიასთან შედარებით რბოლის ზეოცეულში ადგილები ცინცინატიში ჩოგანგამოჩენილმა მობურთალებმა იცვალეს. დავიდ ნალბანდიანი მეათიდან მერვეზე აცოცდა, მარიანო საბალეტა — 21-დან მე-17-ზე. მათზე დიდი ნახტომი — 27-დან მე-18-ზე კი „მხეცად" წოდებულმა ბელარუსმა მაქს მირნიმ იკისრა, ვინაც ცინცინატიში ნახევარფინალამდე გააღწია.

ჩემპიონთა რბოლა

1	(5)	ენდი როდიკი (აშშ)	607
2	(1)	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	599
3	(2)	ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	574
4	(4)	გილერმო კორია (არგენტინა)	539
5	(3)	ანდრე აგასი (აშშ)	515
6	(6)	რაინერ შუტლერი (გერმანია)	447
7	(7)	კარლოს მოია (ესპანეთი)	368
8	(10)	დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	268
9	(8)	მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	261
10	(9)	სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი)	254
11	(11)	მარტინ ფერკერკი (ჰოლანდია)	243
12	(12)	ტომი რობრედო (ესპანეთი)	242
13	(13)	ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	240
14	(14)	ფელიჭს მანტია (ესპანეთი)	236
15	(15)	გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	235
16	(16)	აგუსტინ კალერი (არგენტინა)	224
17	(21)	მარიანო საბალეტა (არგენტინა)	222
18	(27)	მაქს მირნი (ბელარუსი)	212
19	(17)	ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი)	211
20	(18)	უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა)	210

დალასის ძალა

ჯუბანმა ჯიდევ ერთი ვარსკვლავი მოწყვიტა

ნბა-ს თავისუფალ აგენტთა ბაზარს ჟრიამული მოაკლდა. ყველა ხვირიანმ უგუნდომ იპოვა თავისი ადგილი და უკონტრაქტოთა ფენაც შეთხელდა.

მაგრამ ამ უქმეებზე მაინც გაიჩარხა ერთი ხმაურიან ვაჭრობა — „დალას მავერიკსმა" და „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა" ერთმანეთს ერთბაშად 9 მოთამაშე გაუცვალეს.

„დალასმა" მთელი ზაფხული სერიოზული ცვლილებების გარეშე მოიღია. მაგრამ ტეხასელთა მბორგავი მფლობელი მარკ კუბანი ასე წყნარად ვერ დაიწყებდა სეზონისთვის მზადებას, ადგა და გუნდის საუკეთესო სათადარიგო ნიკ ვან ექსელი და კიდევ ოთხი მოთამაშე აიერი ჯონსონი, ანტიან რიგოდო, ფოფი ჯონსი და ევან ეშმეიერი სან ფრანცისკოში გაუშვა. იქაური „ვორიორზიდან" „მავერიკსმა" პირველ რიგში მიიღო ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „გოლდენ სტეიტის" ლიდერი და პირველი მექულე ანტაუნ ჯემისონი და ხურდად კიდევ სამი მოთამაშე — ირჟი ველში, დენი ფორტსონი და კრის მაილზი.

გაცვლით ყველა კმაყოფილი უნდა დარჩეს. ნიკ ვან ექსელი თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი მძლავრი „დალასის" დამწყებ ხუთეულში ვერ ხვდებოდა, რაკი იქ ლამის სამუდამოდ მოიკალათა ფხიანმა კანადელმა სტივ ნეშმა, ხოლო მზარდი პოტენციის „გოლდენ სტეიტში" ვან ექსელი იქნებ ლიდერიც გახდეს. ხოლო ანტაუნ ჯემისონი „დალასში" პირველი კაცი ველარ იქნება, მაგრამ სამაგიეროდ საჩემპიონო გაქანების გუნდის ხუთეულში მოხვდება. „დალასს" სწორედ მისებრი კაცი სჭირდებოდა, ჯემისონი მსუბუქი მოძრავი ფორვარდია და მოუხეშავი მძიმე ფორვარდის და ულიმლამო ცენტრის რიფ დაფრენცის სიახლოვეში ცეცხლს დაანთებს.

„გოლდენ სტეიტს", ცხადია, დააკლდება ჯემისონი და მისი ყოველდღიური 20 ქულა, მაგრამ სამაგიეროდ იქ ელიან მისივე ამპლუის, მანამდე დაჩრდილული მაიკ დანლიეის ათამაშებას. „მეომრების" მთავარი შენაძენი კი ჯილბერტ არენასის წასვლის შემდეგ გაჩენილ ნაპრალს ამოავსებს „გოლდენ სტეიტში", რომელიც ეს ერთი წელია, კარგ ტალღაზე მოექცა და ბოლო-ბოლო პლეიოფში მოსახვედრად იბრძოლებს, სადაც 1994 წლის შემდეგ არ უთამაშია.

ბერი და ბიჭი

ვანდეეიჯმა დენვერს მყრალი და ჯუჯა უშოვნა

„დენვერ ნაგიტსმა" საბოლოოდ აიყვანა გოლდენსტეიტელი თავისუფალი აგენტი ერლ ბოიკინსი. ორი კვირის წინ ბოიკინსმა „დენვერთან" ხუთწლიანი და 13,7 მილიონი ხელშეკრულება დადო, რომელიც ძალაში შეიდიდა იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშის ყოფილი კლუბი ორი კვირის განმავლობაში უფრო სარფიან ხელშეკრულებას არ გამოვიდოდა. „გოლდენ სტეიტმა" არ ისურვა მეტის დახარჯვა, ასე რომ ეს ჯუჯა მოთამაშე ნიკა ცქიტიშვილის გუნდს შეემატა.

სადღეისოდ ნბა-ში ყველაზე დაბალი მოთამაშე, 165-სანტიმეტრიანი ბოიკინი „დენვერის" ასევე ახალწვეული გამთამაშებლის ანდრე მილერის სათადარიგოდ მოიაზრება. „ერლი ძალზე სწრაფი მოთამაშეა და შეუძლია წარმოუდგენლად აჩქაროს თამაშის ტემპი. ჩვენ მისი დიდი იმედი გვაქვს" — ამბობს ბოიკინსის „დენვერში" მიმყვანი კიკი ვანდეეიჯი.

ვანდეეიჯს კიდევ ერთი ახალწვეულის იმედი აქვს. მართალია, დეტროიტელი თავისუფალი აგენტი ჯონ ბერი ჯერ საბოლოოდ არ ჩარიცხულა „ნაგიტსში", მაგრამ ალბათ მალე ჩაირიცხება. უფრო მეტიც, 11 წლის განმავლობაში ხუთი გუნდის სათადარიგო მოთამაშე, კარიერის დაისზე, 34 წლის ასაკში იქნებ „დენვერის" სასტარტო ხუთეულშიც ვიხილოთ მსროლელის პოზიციაზე. აღსანიშნავია, რომ სადღეისოდ „ნაგიტსის" ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე 29 წლისაა.

ჯონ ბერი თავისთავად გამოცდილი კალათბურთელია, მაგრამ ის აგრეთვე ორი რამის გამოცა ცნობილი, მამამისივით ყიამყრალია, მამა კი რიკ ბერი 60-70-იანი წლების ლეგენდარული მოთამაშე გახლდათ.



ჯონ ბერი ალბათ დენვერში ითამაშებს

კოტე ყორღია

ნადარობა სიტროენის მოლის თავზე

ორი კვიცის გახსენებით

ეიფელის კოშკიდან პარიზის ცაში აჭრილი საჰაერო ბურთიც დავინახე და ნადარობის საღერღელიც ამეშალა, მით უმეტეს, რომ ამ ზაფხულს 220 წელი შესრულდა მას მერე, რაც ჰაერში საჰაერო ბურთი აიჭრა და რამდენიმე თვის მერე მთელს დედამიწას, უფრო სწორად, ცას, პირველი მფრინავებიც მოევლინნენ. ეს ისტორიული და ღირსსახსოვარი ამბავი სწორედ საფრანგეთში მოხდა. მაშინ ძმებმა ჟოზეფ და ეტიენ მონგოლფიებმა პირველი აეროსტატი დაამზადეს, ცხელი ორთქლით გაბერეს და 1783 წლის 4 ივნისს ენონეის ცაში აუშვეს. ბურთმა 1000 მეტრამდე ააღწია, 2 კილომეტრი გადაიფრინა და, როცა გაცივდა, დედამიწაზე მდორედ დაეშვა.

იმავე წლის 19 სექტემბერს იმ აეროსტატს პირველი მგზავრებიც გააყოლეს: ცხვარი, იხვი და მამალი. ცხოველ-ფრინველთა ამ ეკიპაჟმა 1000 მეტრის სიმაღლეზე ვერსალს 3,5 კილომეტრზე გადაუფრინა და რაკი ისინი მშვიდობით დაეშვნენ დედამიწაზე, 1 ნოემბერს მონგოლფიების ბურთით პილატრ დე როზიე და მარკიზი დარლანდი ციხესიმაგრე ლა მუეტის პარკიდან აფრინდნენ, პარიზს გადაუფრინეს და დაახლოებით 10 კილომეტრიანი საჰაერო მოგზაურობის მერე ფაუნის იმ წარმომადგენლებივით დედამიწას მშვიდობით დაუბრუნდნენ.



საჰაერო ბურთი ეიფელის კოშკის მეორე ბაჯნიდან

და ისტორიაშიც შეეიდნენ როგორც პირველი მფრინავები. ისინი ზოგმა შერეკილებად მონათლა, ზოგმა გმირებად, მათ შორის გოეთემ.

ძმები მონგოლფიების ბურთის ფრენის ამბავი ელვისუსწრაფესად გავრცელდა და ფიზიკოს ჟაკ ალექსანდრ შარლის ყურამდეც მიაღწია. მიაღწია და ახლა ეს კაციც გადაირია. ადგა და საკუთარი ბურთი შეკერა, გაზით გაბერა და მარი ნოელ რობერთან ერთად პარიზს გადაუფრინა. ამგვარად, ეს ქალბატონი მთელს დედამიწაზე პირველი მფრინავი ქალი გახდა. მიწაზე რომ დაეშვნენ, შარლი კვლავ ცაში აიჭრა და სარეკორდო სიმაღლეზე, 3000 მეტრზე ავიდა.

შარლი ისტორიაში იმითაც შევიდა, რომ საჰაერო ბურთი პირველმა გაბერა გაზით.

გაზის ბალონიც პირველმა დაამზადა, ბურთი თავის ბადიან და მოწნულ კალათიანად შეღება და ასევე პირველმა იგი ბარომეტრითა და სხვა მეტეოროლოგიური ხელსაწყოებითაც აღჭურვა. ყოველივე ამისთვის გაზის ბურთს „შარლიერი“ უწოდეს.

ჟაკმა და მარიმაც პარიზის ცაში იმავე 1783 წლის 1 დეკემბერს გაინავარდეს და, როგორ იქნებოდა, აერონაოსნობის ეს საიუბილეო წელი მეც იქაურ ცაში ნადარობით არ აღმენიშნა.

პარიზის ცაში ნადარობის საღერღელი იმანაც ამიშალა, რომ კაცს დიდ აერონაოსნად მომაქვს თავი. ჰოდა, ახლა ცოტათი მემუარულ ჟანრს დავესესხები და ჩემი აერონაოსნობის ოდინდელ ამბებსაც გავიხსენებ.

მოწაფეობისას ბოლნისში დოსაფის აეროდრომზე სამი კვირით მოვხვდი. იქ ჯერ „იაკ-12“-ის დაქოქვა მასწავლეს. რაკი ეს საქმე თავად მოყირჭებოდათ, მე კი მეხალისებოდა, ყოველდღიურად მაქოქინებდნენ და მაქოქინებდნენ თვითმფრინავებს. კვირაში ერთხელ რამდენიმე წუთით ყველა თვითმფრინავი უნდა აფრენილიყო. და რაკი, თუ არ ვცდები, შვიდი „იაკ-12“ იყო, მეც ყოველდღე მოხალისე „მგზავრად“ მიწევდა გაფრენა, თანაც იქ, ცაში, პილოტობაში ინსტრუქტაჟს გულმოდგინედ მიწევდნენ. ბოლოს საჭე, უკაცრავად, შტურვალიც მომანდეს.



სიტროენის პარკიდან მზესთან შესახვედრად ბურთი ამოცურდა

და მაშინ კვიცის ამბავი გამახსენდა.

ოღონდ იმ კვიცზე კი არ მოგახსენებთ, დედის წინ რომ დარბოდა, არამედ იმაზე, რომელიც გვარზე ხტის.

ჰოდა, შტურვალი რომ მომანდეს, გულისფანცქალით თვალწინ წარმომიდგა 1940 წელს ბორისპოლში გადაღებული, მფრინავის სამოსში გამოწყობილი და ზურგზე პარაშუტმოკიდებული მამაჩემის ფოტო.

სურათის უკანა მხარეს წანაწერიდან ირკვევა, რომ იგი 2500 მეტრის სიმაღლიდან თავისი პირველი ნახტომის მოსაგონებლად გადაუღია. მერე, მეორე მსოფლიო ომი რომ ატყდა, მამაჩემი უკვე გამანადგურებლის შტურმანი იყო.

მუშტაიდის ბაღში ერთი-ორჯერ დედაჩემსაც მოუსინჯავს პარაშუტით ხტომის ხიბლი და, რაღა გასაკვირია, რომ მეც ის კვიცი გამახსენდა. თუმცა, ჩემი მშობლების ცათმპყრობელობის ამბებისას მე ქვეყნიერებას მოვლენამდე კიდევ მრავალი წელი მაკლდა, მაშინ კი, ბოლნისის აეროდრომზე კარავში ჩემი დაბინავებისა და იქაური აერონაოსნობის შესახებ მშობლებმა არაფერი იცოდნენ. მათ იქაურ სასტუმროში ვეგულებოდი, მე კი იმ დროს მეორე კვიცივითაც დავხტოდი. თუმცა, ბედად არც მგელს შევუჭამივარ და არც მგლისფერ ტურას.

ერთი სიტყვით, ბოლნისში თვითმფრინავების გარდა პლანერითაც გული ვიჯერე და 2000 მეტრის სიმაღლიდან რუსის ქალებთან ერთად პარაშუტითაც ვდურთე თავი.

იმ რუსის პარაშუტისტებისა და მორუსაპეტო სომხისა თუ რაღაც გაურკვეველი ეროვნების ინსტრუქტორის გარემოცვაში ამ საქმით დაინტერესებული ერთადერთი ქართველი ვიყავი. ჰოდა, როგორც „ეროვნულ კადრს“ ყველანი დიდი გულმოდგინებით ზეცის დასაპყრობად მწვრთნიდნენ და მამზადებდნენ. მერე ცაც უკან დამრჩა, ბოლნისის აეროდრომიც, იქ ჩამოსული რუსის პარაშუტისტი ქალებიცა და ის გარუსებული სომეხიც.

მივიწყებული აერონაოსნობა რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში გამახსენეს, როცა საჰაერო ბურთის გონდოლაში რუსებმა თავი მადურთინეს, თავიანთი დედაქალაქის, მისი მიმდებარე ტყისა და ველმინდვრების თავზე ცეცხლის ქშუტუნ-ქშუტუნით აღმა-დაღმა ვიფრინე და ეს საქმეც დავაჭაშნიკე.

ერთი სიტყვით, პარიზის ცაში გამოკიდებული საჰაერო ბურთის დანახვაზე საღერღელი ამეშალა და იქამდე მისაღწევი მისამართი სასტუმროში სარეკლამო პროსპექტზე ამოვიკითხე თუ არა, სიტროენის პარკისკენ გავვარდი.

ოღონდაც, სიტროენის პარკი ამ ცნობილი ავტომობილების რაღაც სადგომი თუ გარაჟი არ გეგონოთ. ეს ჩვეულებრივი და იმავდროულად არაჩვეულებრივი პარკია სენის სანაპიროზე, რომელიც იმ „სიტროენის“ მეწარმის ანდრე სიტროენის (1828-1935) სახელს ატარებს. იქვეა მისი სახელობის მეტროს სადგური, სადაც ანდრე სიტროენის პორტრეტია გამოკრული თავისი ბიოგრაფიითურთ.

როცა ეს თავისებური მემორიალური კუთხე ვნახე, ვიფიქრე, რა კარგი იქნებოდა, რომ პარიზელთა მაგალითი ჩვენს მეტროს სადგურ „ვიქტორ გოცირიძეში“ გადმოგვეღო, თორემ ახლა ბევრი ერთმანეთს ეკითხება, ნეტა ეს კაცი ვინ იყოო.

უკეთესი მდგომარეობა არც თბილისის სხვა სახელობით მეტროს სადგურებშია და ჩვენი დედაქალაქის უწარწერო ძეგლებიც ხალხს სამარჩიელოს უხდის. მახსოვს, ერთ ტელეგამოკითხვაში, ეს ვისი ძეგლიაო, ჰალსტუხიან მუსხელიშვილზე რომ ჰკითხეს, პასუხად მიიღეს, მგონი, დავით აღმაშენებლისაო.

მაგრამ ახლა რა დროს მუსხელიშვილი და აღმაშენებელია, როცა კაცი სანადაროდ ვეება და დაბურულ სიტროენის პარკს მივადექი. იქ ბურთი სულაც არ მიძებნია, რადგან პარკს მივუახლოვდი თუ არა, იგი ცაში აიჭრა. და სულ მალე ვეება მოლზე, ბურთის სასტარტო ადგილზე მისი დედამიწაზე დაშვების მოლოდინში მოთმინებით აღვივსე.

მე კი აღვივსე, მაგრამ, ალბათ, მკითხველსაც აევსო მოთმინების ფიალა და ფიქრობს, ოჯახაშენებულო, ნადირობის ნაცვლად ნადარობა რამდენჯერმე რომ გიწერია, ნუთუ კორექტურული შეცდომა ერთგან მაინც ვერ შენიშნეო. მაგრამ ეს შეცდომა არ არის...

თუმცა, ამაზე „სარბიელის“ მომდევნო ნომერში იყოს.



ძმებ მონგოლფიების ბურთი ცხელი ორთქლით ივსება





მზატვრის თვალით დანახული ჟაკ ალექსანდრ შარლისა და მარი ნოელ რობერის საჰაერო მოგზაურობა პარიზის თავზე. სად იყო მაშინ ფოტოგრაფია...

ავთანდილ გურასაშვილი
პარიზი-თბილისი
ავტორის ფოტოები

ირაკლი აბუსერიძე და სხვა ნაშვიდკაცარი ბორჯღალოსნები საქართველოს ნაკრებს შეუერთდნენ

ქართველთა კრება

ბორჯღალოსნები მსოფლიოს თასისთვის მზადებას იწყებენ

ჰაიდელბერგის შვიდკაცაზე ნათამაშები ბორჯღალოსნები გუშინ დილით საქართველოს ნაკრების დანარჩენ წევრებს შეუერთდნენ და ბიარიცის მახლობლად სამსოფლიოთასო შეკრება დაიწყეს. შეკრებაზე 32 მორაგბეა და სორელი ამათგან იმ 28 შეარჩევს, სექტემბერში იტალიასთან ტესტ-მატჩისთვის რომ გამოიძახებს. გუშინვე ბორჯღალოსანთა მე-9 ნომერ ირაკლი აბუსერიძეს საფრანგეთში დავუკავშირდით. ამ უქმეებზე მან ჰაიდელბერგში იშვიდკაცა, ახლა კი დანარჩენებთან ერთად სანაკრებო შეკრებაზეა

— ამ დილით სპორტულ ბაზაზე შევიკრიბეთ. აქედან ბიარიცამდე ნახევარი საათის გზაა. საკმაოდ მყუდრო გარმო და მშვენიერი პირობებია. დღეში ორჯერ ვივარჯიშებთ და ორ სპარინგ-მატჩსაც გავმართავთ. ხვალ ელიტ 2-ის „ტერისს“ ვეთამაშებით, შაბათს კი „ბიარიცს“ გავეჯიბრებით.

— მანდ რამდენ ხანს დარჩებით?

— ათი დღე, მერე ალბათ მონპელიეში შევიკრიბებით.

— ვინმეს სერიოზული ტრავმა ხომ არ აწუხებს?

— ცაბაძის ამბავი იცით, სხვა სერიოზული არაფერია, მხოლოდ მიკროტრავმები.

— ჰაიდელბერგის შვიდკაცაზე მესამე ადგილმა დაგაკმაყოფილათ?

— სიმართლე რომ გითხრათ, ტურნირის მოგებაზე მაინცდამაინც არ ვფიქრობდით. რაკი კანადაში შეკრება ჩაგვეშალა, ამიტომ წავედით ძირითადი შემადგენლობით. მგზავრობამ ძალიან დაგვღალა. თანაც ტრავმებს მოვერიდეთ, ვის უნდა მსოფლიოს თასის წინ დამტვრევა?! ამიტომაც მთელი მონდომებით არ გვითამაშია. ამ ყველაფრის გამო კი მესამე ადგილი კარგი შედეგია.

ბაჩო სვანიძე

ავსტრალიამ განტევების კაპიტანი მოძებნა



ავსტრალიის კაპიტანი ჯორჯ გრეგანი შშობლიურმა პრესამ გვარიანად შეახურა

ავსტრალიელი „ვოლაბების“ კაპიტანი ჯორჯ გრეგანი, ვისაც ნაკრებში 89 კეპი მოუხვეჭავს და ამ მხრივ თანამემამულეთაგან მხოლოდ ლეგენდარულ დევიდ �ფიზს (101 კეპი) ჩამორჩება, ავსტრალიური მედიის სალანძღავი სუბიექტი შეიქნა.

ოზმა ჟურნალისტებმა გრეგანი სულ ახლახან ახალზელანდიასთან სამ ერზე 17:21 წაგებულ მატჩში მთავარ დამნაშავედ მიიჩნიეს და კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს.

„ცუდი ჯორჯი“, „მშიშარა გრეგანი“ და „უნიჭო ბებერი“ — ასეთი ფრაზები გამოერია „სიდნეი ნიუზის“ მატჩისეულ რეპორტაჟში.

„არ ვიცი, რას მერჩიან? რა დავაშავე ისეთი, რომ ველარ მიტანენ და უკვე პიროვნულ შეურაცხყოფაზე გადმოდიან. ყველა სპორტსმენს აქვს მცირედი ჩავარდნა და მე ვერ ვიქნები გამონაკლისი“ — გრეგანმა თავის დასაცავად ესლა თქვა ერთ-ერთი ავსტრალიურ ტელევიზიის ეთერში.

გრეგანს ნაკრების მწვრთნელი ედი ჯონსი გამოექომაგა და ჟურნალისტებს ეს განუცხადა: „გრეგანი ფსიქოლოგიურად დათრგუნულია, ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი წავაგეთ და ამან მასზე, როგორც კაპიტანზე, ძალიან ცუდად იმოქმედა. მე გთხოვთ, რომ იგი კი არ ლანძღოთ, პირიქით, გაამხნევოთ, რადგან მსოფლიოს თასზე სწორედ გრეგანი იქნება კაპიტანი და სხვა არავინ. ეს ჩემი გადაწყვეტილებაა და ვერავინ შემაცვლევინებს.“

ავსტრალიის რაგბის კავშირის თავმჯდომარემ ჯონ ონილმა კი სიტუაციის განსამუხტავად და მდგომარეობის გამოსასწორებლად სხვა გზა მოიფიქრა: „მე მახსენდება 1999 წელი, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით. მაშინ გუნდში ექვსი კაპიტანი გვყავდა — ფილ კირნსი, ჯონ ილზი, დევიდ უილსონი, ჯეისონ ლიტლი, ტიმ ჰორანი და ტიან სტრაუსი. კაპიტნად ის დგებოდა, ვინც კონკრეტული მატჩისთვის ფსიქოლოგიურად ყველაზე უკეთ იყო მომზადებული. ამიტომ კარგი იქნება, თუ გრეგანს სხვებსაც დავახმართ და წაქცეულ კაცს წიხლს არ მივაყოლებთ.“

ონილმა კაპიტნობის ახალი თავისეული კანდიდატების ვინაობაც გაამხილა. მისი აზრით, თუ გრეგანი მზად არ იქნება, გუნდს ტოუტაი ეფუ, დევიდ გიფინი, ფილ ვუ, ელტონ ფლეტლი ან ჯო როფი უყოჩებენ.

მამალს დეზი მოტყდა

საფრანგეთის ნაკრების შერკინების მძლავრი ბურჯი პიტერ დე ვილერი მსოფლიოს თასს გამოტოვებს. გაზაფხულზე ექსტაზის ყლაპვაში და კოკაინის ყნოსვაში გამოჭერისა და სამთვიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ დე ვილერი ისე დაშავდა, რომ ნოემბრამდე ყავარჯნით ივლის.

წარმოშობით სამხრეთაფრიკელი მორკინალი ბურჟ-სენტ მორისის ციცაბო კლდეზე ველოსიპედით სვლისას დაიმტვრა, როცა საფრანგეთის ნაკრები ამ ალპურ ზონაში სამსოფლიოთასო საველე შეკრებაზეა. სხვათა შორის, ველოსიპედით „მეკლდეურობის“ გარდა „მამლების“ მწვრთნელი ბერნარ ლაპორტი თავის შეგირდებს სხვა ექსტრემალურ რამეებსაც ავალებდა. კერძოდ, მთიანი მდინარის ჩქარ წყალში გასაბერი ნავებით ადგაფუნებდა და ალპინიზმით „ართობდა“.

„ვილერი ძალიან მნიშვნელოვანი დანაკლისია. იგი მსოფლიო დონის ვარსკვლავია, მაგრამ რას ვიზამთ... მან მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და ამასთან კოჭიც დაიზიანა. იგი რომ მსოფლიოს თასზე წავიყვანოთ, დათვური სამსახური გამოგვიჯა. პიტერი ჩვენ მომავალშიც გვჭირდება და მისთვისაც კარგი იქნება, ამ მსოფლიოს თასს თუ გამოტოვებს“ — განაცხადა ბერნარ ლაპორტმა.

31 წლის დე ვილერის შემცვლელად ლაპორტმა ტულუზელი მარჯვენა ბურჯი ჟან-ბატის პო შეიგულა. პოს „მამლებში“ 6 მატჩი უთამაშია და ლაპორტმა იგი პერპინიანელ ნიკოლას მასს ამჯობინა, თუმც დიდი შანსია, მასი მაინც მოხვდეს სამსოფლიოსთასო 28 კაცში, რაკი პო პრაქტიკულად ერთადერთი მარჯვენა ბურჯია ნაკრებში და მარქაფში მისი შემცვლელი აუცილებლად დასჭირდებათ.

ბურჟ-სენტ მორისიდან საფრანგეთის ნაკრები იქით კვირაში აბარგდება. ავსტრალიაში კი ფრანგები 29 სექტემბერს ჩავლენ და ბრისბენში დაბინავდებიან, სადაც 11 ოქტომბერს პირველ მატჩს ითამაშებენ ფიჯის წინააღმდეგ.

გიორგი ძაგანიშვილი



საფრანგეთის ნაკრებს გამწევი ძალა პიტერ დე ვილერი დააკლდა

სადაა ქართული ხმები? მსოფლიო რაგბი ხმას აღიმაღლებს

მსოფლიოს თასის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ თასის მონაწილე ოცივე ნაკრებს თან ახლდეს ორი თვისტომი მომღერალი, ერთი ქალი და ერთი კაცი. მათი ასაკი აუცილებლად 17-დან 26 წლამდე უნდა იყოს. გამოდის, რომ გახსნის ცერემონიალზე 40 მომღერალი იქნება! ჰოდა, ეს ოთხი ათეული მუსიკოსი ერთად იმღერებს თასის ოფიციალურ ჰიმნს, რომელსაც „WORLD IN UNION“ ჰქვია.

„ნამიბიელთა, ქართველთა, სამხრეთამერიკელთა და კუნძულელთა ხმების ავსტრალიელებთან ან ირლანდიელებთან შერწყმა ძალიან სასიამოვნო მოსასმენი უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ყველაზე ლამაზად შესრულებული ჰიმნი, რომელიც „ნებისმიერი სახის სპორტულ თამაშებზე აჟღერებულა“ — განაცხადა მსოფლიოს თასისა და გახსნის ცერემონიალის დირექტორმა ენდრიუ უოლშმა.

მსოფლიოს თასის ჰიმნის გარდა ყოველი მატჩის წინ წყვილი ხმები საკუთარი ქვეყნის ჰიმნს შეასრულებენ, ოღონდ, ეგაა, რომ მსოფლიოს ხმებს შეიძლება ქართული ვერც შეუერთდეს! საქართველოს რაგბის კავშირის მომღერლებს კი არა, ჯერ ნაკრების ავსტრალიაში წასაყვანი ფულიც არა აქვს. ამიტომ კავშირში ვერაფრით გვითხრეს, რომელი მომღერლების წაყვანას აპირებენ ავსტრალიაში.

ისე კი ცნობილია, რომ ჯერჯერობით ყველაზე უმცროსი მომღერალი ავსტრალიელი აკოს მისზლაი იქნება. 17 წლის მიზლაის 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზეც უმღერია, ახლა კი რაგბის მსოფლიოს თასზეც მოუწევს გამოსვლა.

ბაჩო სვანიძე



REUTERS სანტა დომინგოდან

დაიხურა, რათა კვლავ ჩაფარდეს

სანტო დომინგოში დიდი ზეიმითა და ხალისით დაიხურა მეთოთხმეტე პანამერიკული თამაშები. რიო დე ჟანეირიდან სავანგებოდ მიიწვიეს სამბას მოცეკვავეთა გუნდი „მანგუირა“, რომელსაც დომინგოელი მემუსიკენიც შეუერთდნენ და სანახაობაც მშვენიერი გამოვიდა. რიოელთა წვევა შემთხვევითი არ არის. 2007 წელს პანამერიკული თამაშები რიოში გაიმართება და ამიტომაც გადასცემს დომინიკელი კალათბურთელი ფელიპე პაიანო თამაშების დროშას რიოს მერ სესარ მაიას.

REUTERS ანაჰაიმიდან

გაუცინარი წამები

კალიფორნიაში, ანაჰაიმში გუშინ დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ტანვარჯიშში, რომელიც ერთ კვირას გასტანს. ჯერჯერობით შესარჩევი შეჯიბრებები მიმდინარეობს, თუმცა, სპორტსმენთა კონცენტრაცია და მონდომება შესაშურია. ამ რგოლებზე გამაგრებულ ფინელ ოლი ტორკელს შეხედეთ. ანაც წონასწორობის დამცველ სამხრეთკორეელ ბიმ ჰიოკიმს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, უატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge